ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 1 მარტი, 2011 №50 (5431) ფასი: 30 თეთრი

## რამაზ კლიმიაშვილი გარდაცვლილი იპოვეს

გვ.2



# „მარშრუტკების ომი“ არ დამთავრდება!

უკანონო ტენდერი ხელისუფლებას ცუდად შეუტრიალდება



გვ.2

## ოპოზიცია არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს

საქართველოში სოციალური ბუნტი მოსალოდნელი არ არის

გვ.3



## ამერიკელებმა სააკაშვილი ავტოკრატების სიაში შეიყვანეს



გვ.4



## რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აქციას ამზადებს

გვ.6



გვ.3

## ვინ დაიცავს დაშინებულ ბიზნესმენებს?

## სამინისტროში გადაადგილებები დაიწყო

გვ.6

## სკოლის დირექტორებს კონკურსით შეარჩევენ



გვ.6



გვ.5

## რუსეთს დიპლომატიური მეთოდებით ვებრძვით

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

5 საქალაქო სასამართლოში სამართლის კლინიკა გაიხსნება

10 „შიშველი თეატრის“ დასმა სპექტაკლი წარმოადგინა

5 სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

9 „ტორპედოს“ მონატრებული გამარჯვება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „მარშრუტკების ომი“ არ დამთავრდება!

## უკანონო ტენდერი ხელისუფლებას ცუდად შეუტრიალდება

შორენა გონგლაძე

*სამარშრუტო ტაქსის მძღოლების პროტესტი გრძელდება. მძღოლებმა დაპირება შეასრულეს და პერმანენტული აქციები დაიწყეს. გუშინ სამარშრუტო ტაქსის მძღოლების მორიგი აქცია ვარდების მოედანზე გაიმართა. მძღოლების მოთხოვნა უცვლელია, ისინი ტენდერში გამარჯვებული კომპანიების წარმომავლობის და ტენდერის ჩატარების ობიექტურობაში გარკვევას ითხოვენ. გავრცელებული ინფორმაციით, თბილისში, მიკროავტობუსების კომპანიების გამოსავლენად ჩატარებულ ტენდერში ხუთმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც მძღოლების თქმით, ეკუთვნის სააკაშვილის ოჯახთან დაახლოებულ ბიზნეს კლანს — შარანგიებს და რაც მთავარია, აღნიშნული კომპანიები ტენდერით გათვალისწინებული პირობების შესრულებას სულაც არ აპირებენ, პირიქით, მათ ყოველგვარი ინვესტიციების გარეშე თავიანთი მოთხოვნები და პირობები აქვთ მძღოლებთან. იმ შემთხვევაში თუ მძღოლების პროტესტმა ტრადიციულად ამჯერადაც ჩაილურის წყალი დალია, მძღოლებს კომპანიებისათვის ყოველდღიურად ოციდან ორმოც ლარამდე ექნებათ გადასახადი, ეს თავისთავად მგზავრობის გაძვირებას გამოიწვევს, რაც მძღოლების შემოსავალს მნიშვნელოვნად შეასუსტებს. მგზავრობის გაძვირების შემთხვევაში დატვირთვა მეტროპოლიტენზე და ავტობუსებზე გაიზრდება. გუშინ სამარშრუტო მძღოლების აქციას დევნილებიც შეუერთდნენ.*



**კობა დავითაშვილი:**

— თბილისის მერიამ ჩაატარა აბსოლუტურად უკანონო და უსამართლო ტენდერი, რომლის თანახმადაც გამოვლინდა არა ხუთი, როგორც ეს გამოგვიცხადეს, არამედ ერთი გამარჯვებლი კომპანია, ანუ კომპანიათა ჯგუფი, რომელთაც ჰყავთ ერთი დამფუძნებელი, ერთი ხელმძღვანელი, რომელიც შეიქმნა იანვარში და საწესდებო კაპიტალი აქვთ ასი ლარი და ამ კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში მაშინ, როდესაც ახლოსაც ვერ მიდიოდა სხვა ტენდერის მონაწილეთა შედეგებთან. ეს არის კორუფციული სქემა, ეს ტენდერი არის უკანონო და ის უნდა გაუქმდეს, ეს არის ამ საზოგადოების და ჩვენი მოთხოვნაც.

**ჯაბა სამუშია:**

— ჩვენი მოთხოვნაა, რომ გაუქმდეს ტენდერის შედეგები და ხელისუფლება დაჯდეს ამ ადამიანებთან მოლაპარაკების მაგიდასთან, ვინაიდან ვთვლით, რომ ის წინადადებები რასაც თავის დროზე ჩვენ ვთავაზობდით მერიას ტენდერის ჩატარებისას უპირატესობა მისცემოდათ იმ კომპანიებს, რომლებიც ფლობნენ რეალურ ავტოპარკს, ეს რჩევა ხელისუფლებამ თავის დროზე არ გაითვალისწინა. დღესდღეობით არის ეს ერთადერთი გამოსავალი, რეალურად დარჩეს თბილისის სატრანსპორტო ბაზარზე ის ადამიანები და ის მოქმედი კომპანიები, რომლებსაც რეალურად გააჩნიათ ავტოპარკი და არა ისინი, რომლებმაც მხოლოდ და მხოლოდ ფარატინა ქაღალდი წარმოადგინეს ტენდერის ჩატარების დროს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ ამ ტენერის ჩატარებას.

**შალვა ობგაიძე:**

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მეორეც, თუ ყველა ადამიანი შეეცება, რომ დაიცვას თავისი უფლება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფძემდებლური ცხოვრებისეული პრინციპი, რასაც შრომის უფლება ჰქვია, მე მგონი, ამ ქვეყანას ნამდვილად ეშველება. ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმაა დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ მათ ბრძოლა გამოუცხადა, მე მიმაჩნია, რომ სამარშრუტო ტაქსებს კი არ უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა, ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ პრობლემას, სამარშრუტო ტაქსებმა თბილისელებს ყველაზე გაჭირვებული პერიოდი, უტრანსპორტობის პერიოდი გადაატანინა, ასე ერთი ხელის აღებით ამათი გადაყრა, ახლის შემოყვანა და წილების გადანაწილება უზნეობად მიმაჩნია. ბევრ ადამიანს ბინა აქვს იპოთეკით ატვირთული, ქონება აქვს ჩადებლი, კრედიტი აქვს აღებული და ამ ადამიანს ეუბნებიან, რომ შენი მანქანა საჭირო აღარ არის, სამწუხაროდ, ეს მანქანები აღარც გაიყიდება, მოთხოვნაც აღარ იქნება ამ მანქანებზე. ეს პრობლემები არის ერთ ჯაჭვად აკინძული, რომელსაც ხელისუფლების და თავისი ამომრჩევლებს და თანამოქალაქეების გაუცხოვება ჰქვია. სახეზეა კონკრეტული მაგალითი როგორ შეიძლება უტიფრად ჩაატარო ტენდერი და ერთი ხელის მოსმით ამდენი ადამიანის ბედი ფეხქვეშ გათელო. დამერწმუნეთ, ეს ასე უბრალოდ არ დამთავრდება. მე როგორც ავტომობილისტი, როგორც სახალხო კრების წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, სამარშრუტო ტაქსების სამართლიან მოთხოვნას ვიზიარებ და სოლიდარობას ვუცხადებ.

— სამარშრუტო ტაქსების უმეტესობა მოძველებულია და ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მგზავრების უსაფრთხო გადაყვანას, ეს ფაქტორიც ხომ არის გასათვალისწინებელი?

— ამას ვინ დაობს, ერთი შეხედვით ხელისფლებამ ტექდათვალიერება გააუქმა, მეორე მხრივ, სახელმწიფო ტექდათვალიერებას ამ ტაქსებისათვის ატარებს წელიწაში ორჯერ, თუ არ არის ტექნიკრად გამართული, რატომ აძლევს მუშაობის უფლებას? ამიტომ მოდით, დავიწყოთ არა ამ ადამიანების იგნორირების, არამედ კონკრეტული პრობლემის მოგვარებით. კონკრეტულ სამარშრუტო ტაქსზე მივიღოთ კონკრეტლი გადაწყვეტილება და არა ყველაზე ერთად. მაგრამ ხელიმსუფლების პასუხი ამ ყველაფერზე არის ერთი, მე ასე მინდა.

**ინგა გრიგოლია:**

— ამდენი ადამიანის უმუშევრად დატოვება არის დანაშაული და კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, რომ შენ დათესო ხალხში შიში იმ პროტესტის შიშით, რომელსაც ხედავ. ჩვენ ვნახეთ უამრავი მძღოლი ქუჩაში გამოსული, დღეს რატომ არის ხალხის რაოდენობა შეთხელებლი, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი სწორედ ამ შიშს უკავშირდება, დაპატიმრებულია თორმეტი ადამიანი და აქედან ათს მიუსაჯეს ერთთვიანი პატიმრობა, ეს არის ხელისუფლების სტილი, იგი ცდილობს, რომ პროტესტს დაუპირისპიროს დაპატიმრებები, ჩვენ მოვითხოვთ ამ ადამიანების განთავისუფლებას.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— მგზავრობის ფასი აუცილებლად გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა ამ პროტესტის კიდევ უფრო გაძლიერება და გაფიცვის განახლება. გაფიცვა არის ყველაზე სერიოზული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენეს მძღოლებმა, პარასკევს ამ გაფიცვამ მიიღო სრულფასოვანი მასშტაბი და იმედია, ამ შედეგის მიღწევა ისევ გახდება შესაძლებელი. იმედია მძღოლები შეინარჩუნებენ ერთსულოვნებას და ჩვენც ერთსულოვნები ვიქნებით მათი, ძალიან მაღალი შანსია იმისა, რომ ხელისუფლება უკან დაიხევს, ვინაიდან მათ ალტერნატივა არ გააჩნიათ, კარგა ხანი დასჭირდებათ იმისათვის, რომ შეიმოიყვანონ მანქანები. დღეს ქაღალდზე მოაგებინეს ამ კომპანიას ტენერი, იმიტომ, რომ მათ არც ერთი მანქანა არ ჰყავთ და ამ ხალხის ზურგზე უნათ გადაატარონ ის პერიოდი, მანამ მანქანებს შეისყიდიან. მთელს ქალაქში დაძრწიან პოლიციელები, მერიის წარმომადგენლები, ატერორებენ მძღოლებს და ამიტომაც შესუსტდა გაფიცვის მასშტაბები, მაგრამ იმედია, რომ მძღოლები მოახერხებენ იმის ორგანიზებას, რომ დღეს გაუძლონ შიშს იმისათვის, რომ ხვალ არ აღმოჩნდნენ უფრო მძიმე მდგომარეობაში. ექვსი თვის შემდეგ ყველა მძღოლი აღმოჩნდება ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, ამიტომ დღეს ჯობია გავიჭირვოთ, ვიდრე ამ ადამიანებმა დაკარგონ ყოველგვარი შემოსავლის წყარო. ჩვენ ვმუშაობთ თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფთან, თუ ისინი გამოუცხადებენ მძღოლებს სოლიდარობას ეფექტი უფრო უკეთესი იქნება. ჩვენ ბუნებრივია ყველა სოციალურ ჯგუფს მოვუწოდებთ ურთიერთსოლიდარობისაკენ, თუ არ იქნება სოლიდარობა, ბნებრივია, ვერც ერთი ჯგუფი ცალ-ცალკე ვერ შეძლებს გამარჯვებას, სააკაშვილის რეჟიმის დასამარცხებლად მთავარი არის სოლიდარობა.



**მანუჩარ სიგუა,** დევნილთა მოძრაობის თავმჯდომარე:

— დღეს ჩვენ ვუერთდებით სამარშრუტო ტაქსის მძღოლების საპროტესტო აქციას, ვინაიდან ამ ადამიანების უკან დგანან ოჯახები, უამრავი დევნილი არის დასაქმებლი სამარშრუტო ტაქსზე, ამ ადამიანებს ძალიან უჭირთ და კიდევ მეტად გაუჭირდებათ, თუ ხელისუფლებამ არ შეცვალა თავისი გადაწვეტილება. მე ვფიქრობ, რომ მძღოლებს არა მარტო დევნილებმა, არამედ თითოეულმა ადამიანმა უნდა დაუჭიროს მხარი, ვინაიდან ეს ყველაფერი სულ მალე დედაქალაქის მცხოვრებლების ჯიბეზე აუცილებლად აისახება. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა თბილისელს, შემოუერთდნენ ამ აქციას და მხარი დაგვიჭირონ.

# მიხეილ სააკაშვილი უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა.

ქვეყნის პირველმა პირმა საქართველოს საერთაშორისო ბაზრებზე წარმოქმნილი პრობლემებით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური ეფექტიდან თავის არიდებასა და ინფლაციაზე ისაუბრა.

— საერთაშორისო ვითარება არის ძალიან რთული. ასეთი ვითარება პრაქტიკულად არის მსოფლიო ომის მდგომარეობაში. ნავთობის ფასები გაიზარდა და კიდევ უფრო თუ გაიზრდება, შეიძლება მსოფლიო ეკონომიკა ჩაიშალოს. სიტუაცია არის რეალურად ასეთი. ჩინეთი და დიდი სხვა ქვეყნებიც აღმოჩნდნენ ამ შტორმში სერიოზულად დაზარალებულები. მათი ეკონომიკა პრაქტიკულად შეაყანყალა ამ მსოფლიო ინფლაციამ და მათ შორის, საწვავის ფასებმა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, იმისთვის რომ საქართველო არ აღმოჩნდეს პატარა, უმწეო ნაფოტი ამ მსოფლიო კრიზისის ოკეანეში, ქვეყნის ამოცანაა იყოს მაქსიმალურად დისციპლინირებული და ბიზნესს მაქსიმალური თავისუფლება ჰქონდეს.

— ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის მთავარი უპირატესობები, რაც საქართველოს აქვს. ეს არის არაკორუმპირებული სახელმწიფო საგადასახადო, სამართალდამცავი სისტემა, კარგი საგადასახადო გარემო, რადგან ეს არის ჩვენი ერთადერთი ალტერნატივა. ამ სიტუაციაში ჩვენი ეკონომიკის არა მხოლოდ გადარჩენას შევძლებთ, შესაძლოა, თუ გონივრულად, მიზანმიმართლად და ორგანიზებულად ვიმოქმედებთ, გავაძლიეროთ კიდეც. ამავე დროს ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს ხალხს, თითოეულ ოჯახს, ძალიან ურტყამს გაზრდილი ფასები, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, რეალურად ხელფასები შემცირდა, იმიტომ რომ ადამიანი თუ ხელფასს იღებდა და რაღაც რაოდენობის პროუდუქტის ყიდვა შეეძლო, რეალურად ეს რაოდენობა შემცირდა. ასევე არიან უმუშევრები, რომელთაც ეს ვითარება უბიძგებს ბევრად უფრო მძიმე ვითარებისკენ.

— ქვეყნის ამგვარ ეკონომიკურ სიტუაციაში მუდმივი ორიენტაცია უნდა იყოს იმაზე, რომ სახელმწიფომ გადაანაწილოს მწირი რესურსები, დაეხმაროს გაჭირვებულ ფენებს და ყველანი ვიყოთ ჩვენ ამომრჩეველთან მაქსიმალურად ახლოს. ეს არის გადამწვეტი პირველ რიგში იმისთვის რომ ჩვენ უკეთესი მომავალი შევქმნათ თითოეული ჩვენგანისთვის და თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტისა და უმრავლესობის წარმომადგენლების შეხვედრა დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა.

**მედიანიუსი**

# რამაზ კლიმიაშვილი გარდაცვლილი იპოვეს



პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილი გარდაცვლილი იპოვეს. კლიმიაშვილის ცხედარი თბილისში მცხეთის ქუჩა №8-ში მისმა მეგობარმა მარინა ტერენტიევამ აღმოაჩინა. წინასწარი ინფორმაციით, პოლიტოლოგი გაზის გაჟონვის შედეგად დაიღუპა. შემთხვევის ადგილზე სამუშაოები ჩაატარეს კრიმინალისტებმა და „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლებმა. კლიმიაშვილის ცხედარი ექსპერტიზისთვის პროზექტურაშია გადასვენებული.

რამაზ კლიმიაშვილი 70 წლის იყო. ბინა რომელშიც პოლიტოლოგი აღმოაჩინეს, მისი საკუთრება არ იყო. გავრცელებული ინფორმაციით მას აღნიშნული ბინა ნაქირავები ჰქონდა.

**„ახალი თაობა“ სამ იმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

# მეწარმეებს საკანონმდებლო აქტების შესწავლა იძულების წესით მოუწევთ

საქართველოში მომუშავე მეწარმეებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების არცოდნის შემთხვევაში მათი იძულებითი წესით შესწავლა მოუწევთ. შესაბამისი ცვლილების შეტანა საგადასახადო კოდექსში იგეგმება.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობებში მთავარი პრინციპი ურთიერთანამშრომლობაა და არა ჩასაფრების პოლიტიკა.

— სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე შემოვიტანეთ რამდენიმე ახალი ტიპის სანქცია, როგორიც არის, მაგალითად, გაფრთხილება. როდესაც საგადასახადო სამსახური დარწმუნდება, რომ რეალურად ტექნიკური ხასიათის შეცდომაა დაშვებული და საქმე არ გვაქვს გადასახადების დამალვასა ან მისგან თავის არიდებასთან, იგი უფლებამოსილია, გამოიყენოს ალტერნატიული სანქციები და არა ჯარიმა. ეს შეიძლება სწორედ გაფრთხილება იყოს, — აღნიშნა გიორგი ხუროშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას 13 წლით, ორი თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც გუშინ სასამართლო პროცესის შემდეგ მედიანიუსს„ გამსახურდიას ერთ-ერთმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, გამსახურდიას წინა ბრალდების შესაბამისად, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა დარჩენილი და მოსამართლემ კიდევ ხუთი წელი დაუმატა.

— მოსამართლე მხოლოდ 2 წლის დაკლებაზე დათანხმდა. როგორც იცით, პროკურატურა გამსახურდიასთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა. მოსამართლემ დაცვის მხარეს არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. დღეს გამოცხადდა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი და განაჩენს საბოლოოდ ალბათ ორ კვირაში ჩაგვაბარებენ, — განაცხადა ბექაურმა და დასძინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში აუცილებლად გაასაჩივრებენ. გამსახურდიას ადვოკატებს ამისათვის ერთი თვე აქვთ.

გამსახურდიას ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, ასევე ციხის ადმინისტრაციას ცოტნე გამსახურდიასთვის პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებენ.

როგორც ცნობილია, პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესებს ბრალდებული ცოტნე გამსახურდია არ ესწრებოდა.

ცნობისათვის: სასამართლო განიხილავდა ცოტნე გამსახურდიასთვის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციიის გატანის სანაცვლოდ, 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. დაკავების მოტივი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო. მაშინ მას 9,6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მედიანიუსი

## „სახალხო კრების“ კომიტეტი დღეს გურჯაანში დაფუძნდება

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ მორიგ წინააღმდეგობის კომიტეტს დღეს გურჯაანში დააფუძნებს.

„სახალხო კრების“ პრესსამსახურის ცნობით, ღონისძიება 15:00 საათზე გაიმართება და მას „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოსა და სათათბირო დარბაზის წევრები დაესწრებიან.

საქართველოს მასშტაბით უკვე „სახალხო კრების“ წინააღმდეგობის 40-მდე კომიტეტი ფუნქციონირებს. კომიტეტების მიზანს საზოგადოების საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობისთვის მომზადება წარმოადგენს.

ინტერპრესნიუსი

## ხაშურში „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდა



ხაშურში გუშინ „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდა.

ღონისძიებას პარტიის ლიდერი, ირაკლი ალასანია დაესწრო. რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ გიორგი ცხადიაშვილი აირჩიეს.

„თავისუფალი დემოკრატები“ ვაპირებთ არჩევნების მოგებას ხაშურში და მთელ საქართველოში, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ წარმომადგენლობა გვქონდეს ყველა რაიონში. დღეს დაფუძნდა ხაშურის ორგანიზაცია და წლის ბოლომდე წარმომადგენლობა გვეყოლება ყველა რაიონსა და სოფელში, — განაცხადა ალასანიამ.

„თავისუფალმა დემოკრატება“ რაიონული ორგანიზაციები უკვე დააფუძნეს გორში, ზუგდიდში, წყალტუბოში, ოზურგეთში, სენაკსა და ჩხოროწყუში. უახლოეს მომავალში რაიონული ორგანიზაციები აჭარასა და კახეთში დაფუძნდება.

ინტერპრესნიუსი

## შაქრო კალაშოვის ნათესავი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქურდული სამყაროს წევრობისთვის დააკავეს კანონიერი ქურდი, შაქრო კალაშოვის ნათესავი, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, 45 წლის რამაზ გვარამაძე და 38 წლის გიორგი ბუჩუკური.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული რამაზ გვარამაძე, საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი ქურდული სამყაროს წევრებთან შეთანხმებით ითხოვდა ეგრეთ წოდებული ფეხბურთის „მაზების“ წილებს, ქურდული სამყაროს წევრთათვის სარგებლის მიღების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს 5-8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

მედიანიუსი

# ოპოზიცია არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს

## საქართველოში სოციალური ბუნტი მოსალოდნელი არ არის

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან



*— ბატონო პაატა, აშშ-ს დაზვერვის დეპარტამენტმა ჩრდილოკავკასიასთან და შუა აზიის რეგიონთან ერთად საქართველოც ფეთქებად საშიშ ზონად შეაფასა. თქვენ, როგორც ექსპერტ კონფლიქტოლოგი, რას ფიქრობთ, რამდენად არის იმის საფრთხე, რომ ჩვენთანაც მოხდეს ის, რაც გარშემო ხდება?*

— გარშემო ალბათ არაბული ქვეყნები იგულისხმება. არა, ჩვენთან ამის საშიშროება არ არსებობს. ჩრდილოკავკასიაში რუსეთი აკონტროლებს ვითარებას ძალიან მკაცრად და იქ ტერორისტული აქტები სწორედ იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობას არა აქვს ჩართულობის საშუალება და მოსახლეობა არ მონაწილეობს ქვეყნის მართვაში. შესაბამისად, ტერორისტული აქტები აქედან გამომდინარეობს. ავტორიტარული სისტემა ძალიან ეფექტურია ამ შემთხვევაში. საქართველოში მოსახლეობამ ეს ტალღა გაიარა 2007-2009 წლებში და ამიტომ, ცოტა არ იყოს, მოდუნებას აქვს ადგილი და დაღლას. ესეც ჩვეულებრივი ამბავია, აბსოლუტურად გასაგებია და რაც მთავარია, პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი არჩევნების მოლოდინშია და ჩართული არიან საარჩევნო გარემოს შეცვლის პროცესში. რვა პარტიას დაემატა კიდევ რამდენიმე პარტია, რომელიც დიალოგში არის ხელისუფლებასთან და იმედი აქვთ და მოლოდინი, რომ ხელისუფლებისაგან რაღაც გარკვეულ შეთანხმებას მიაღწევენ, რათა უკეთესი საარჩევნო გარემო იყოს, ვიდრე არის დღეს. ამიტომ აქეთკენ არის მიმართული. მე ვფიქრობ, რომ თუ არჩევნები არ ჩატარდა სამართლიანად, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა არჩევნებზე და ხმა მისცა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ და სააკაშვილმა ეს გააყალბა, როგორც შევარდნაძემ გააყალბა 2003 წელს, აი, სწორედ ამის შემდეგაა მოსალოდნელი ასეთი პროცესები, რაც დღეს ხდება არაბულ ქვეყნებში. მანამდე, მე მგონი, მასობრივი გამოსვლების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, მე არა მაქვს.

*— აშშ-ს დაზვერვამ ზოგადად მოიყვანა საქართველო ამ ქვეყნების რიცხვში?*

— მე არ ვიცი კონკრეტულად რას დაეყრდნო და რა თარიღები განსაზღვრა. მე მგონი, ის რაც იქ წერია საქართველოს შესახებ, ეს მოსალოდნელი უნდა იყოს 2012 წლის არჩევნების შემდეგ და არა არჩევნებამდე.

*— მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ფონი მძიმეა, თქვენ ასეთ პროცესებს არ ელით?*

— სოციალური ფონი მართლაც მძიმეა, მაგრამ ასეთ პროცესებს არ ველი, იმიტომ, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს სოციალური პროცესი საქართველოში, ეს ისეთი მძიმე არ არის, როგორც არაბულ ქვეყნებში. საქართველოში მაინც შიმშილით ხალხი არ იხოცება. ხალხს ძალიან უჭირს, მაგრამ შიმშილობა არ არის იმ სტანდარტების, რა სტანდარტებითაც მსოფლიო აფასებს. არიან ქვეყნები, თუ გარედან დახმარებას ვერ ღებულობენ, შიმშილით კვდებიან.

*— თქვენ საკმაოდ ხშირად ხართ ვიზიტით ევროპის ქვეყნებში, როგორია ევროპული საზოგადოების დამოკიდებულება ჩვენი ხელისუფლებისადმი?*

— უაღრესად უარყოფითი და დისტანციური. ანუ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვინ დაიცავს დაშინებულ ბიზნესმენებს?

ნანა მიშელაშვილი

**ამ კვირაში სპეციალური ბიზნესსაბჭო შეიკრიბება. ოთხშაბათს პარლამენტში ბიზნესსაბჭოს პირველი სხდომა შედგება, სადაც ბიზნესის წარმომადგენლები საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარ პრობლემებს გააცნობენ.**



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მნიშვნელოვანია, ბიზნესმა იგრძნოს, რომ მათ მიმართ პარტნიორული დამოკიდებულებაა.

ამ საბჭოს შემადგენლობაში გუშინ შესვლა მოითხოვა უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ. მანამდე ცნობილი იყო, რომ საბჭოს შემადგენლობაში ოპოზიციიდან მხოლოდ გურამ ჩახვაძე იყო. ამ კვირიდან კი ბიზნესსაბჭოს მუშაობაში უმცირესობის ლიდერი ჩაერთვება.

რა საკითხების დაყენებას აპირებს გიორგი თარგამაძე?

უმცირესობის ლიდერის განმარტებით, ქრისტიან-დემოკრატები არ აპირებენ, რომ ეს საკითხი პოლიტიკური კინკლაობისთვის იყოს გამოყენებული.

— ყელყელაობისთვის ჩვენ ეს ფორმატი არ გვჭირდება. ჩვენ ეს ფორმატი გვჭირდება პრობლემების დასმისა და მოგვარებისთვის. ბიზნესმენები ხელისუფლებასთან ერთი ერთზე დარჩენის დროს ყველაფერზე ღიად ნათლად და პრინციპულად ვერ საუბრობენ, რადგან დაშინებული არიან, არ უნდათ ხელისუფლების წარმომადგენლები გადაიკიდონ. ბიზნესსაბჭოში ოპოზიციის წარმომადგენლის ყოფნა ამ საბჭოს ეფექტურობას, გულწრფელობის ხარისხს გაზრდის, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერი საუბრობს იმ პრიორიტეტებზე, როგორიც არის: ბიზნესგარემოს გაუმჯობესობა, თავისუფლების ხარისხის ზრდა და ადგილობრივი წარმოების განვითარება.

გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ იმ ბიზნეს ჯგუფების ინტერესები უნდა იქნეს წარმოდგენილი, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის, რომლებიც ასეთ ფორმატში ხშირად არ არიან წარმოდგენილი.

უმცირესობის ლიდერის განცხადებით, ბიზნესსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის პირდაპირი კონტაქტი აუცილებელია და აუცილებელია, რომ ამან არ მიიღოს საპიარო ხასიათი.

— ეს შეხვედრები მხოლოდ შეხვედრებისთვის არ უნდა გაიმართოს და იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ მეგობრობს ხელისუფლება ბიზნესთან. ჩვენ ასეთი ტიპის მეგობრობის წინააღმდეგები ვართ, ისეთი ტიპის მეგობრობის, რაზეც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის ყოველწლიური მიმართვის დროს ისაუბრა. პრეზიდენტმა თქვა, რომ მთავრობა და ბიზნესი ერთი გუნდი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლებაში მოკალათებულმა ყველაზე გავლენიანმა პირებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, რომ თუკი ბიზნესმენს თავისი წარმოება სურს შეინარჩუნოს, სწორედ ნაციონალური მოძრაობის გუნდის წევრი უნდა გახდეს, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ერთ-ერთ მაგალითად უმცირესობის ლიდერს ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო დეკლარაციები მოჰყავს, პოლიტიკური პარტიისთვის შემოწირულობები, სადაც „გულდამწვარი ქართველი ბიზნესმენები ნაციონალური მოძრაობის ყულაბის გამდიდრებაზე ზრუნავენ“.

— არაჯანსაღი მიდგომა რაიმენაირად უნდა შეიცვალოს, ამ ფორმატით შევცვლით თუ სხვა ფორმატით, მთავარია, რომ ყველგან აქტიურები ვიყოთ და ისმოდეს ის სატკივარი, რაც ქართულ ბიზნესს აქვს. ხშირად უფრო მეტად ისმის მსხვილი ბიზნესის სათქმელი, ვიდრე მცირე ბიზნესის. ჩვენ არანაირად არ გვსურს, რომ მსხვილი ბიზნესი შეიზღუდოს, უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებიც აქტიურად იქნეს წარმოდგენილი, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

დასვამს თუ არა ოპოზიცია მცირე ბიზნესმენებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხს?

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი აცხადებს, რომ ამ თემაზე საუბარს აპირებს, თუმცა, პრობლემა იმაშია, რომ თითქმის ყველა ბიზნესმენი ერიდება ღია დაპირისპირებას ხელისუფლებასთან.

— მათ არანაირი დაცულობის გარანტია არა აქვთ, რომ რაც დარჩათ, იმასაც არ წაართმევენ. ჩვენ კი ვსაუბრობთ გარკვეულ პროცესებზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო რთული ხდება ამ საქმეების დაკონკრეტება და მაგალითების მოყვანა. თითქმის ყველა ბიზნესმენი პრობლემას მალავს, იმიტომ რომ, ცოტა უფრო ღრმად რომ შევიდეს, მისი დამცველი არავინ არ არის. სასამართლო ვერ იცავს, პოლიტიკური ბალანსი ისეთი არ არის, რომ ოპოზიციამ შეძლოს ამ ბიზნესსტრუქტურების აქტიური დაცვა. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ კუთხით რაიმე ეფექტურ გზავნილს ვერ ახერხებენ, რომ მთავრობის ყურამდე მიიტანონ, — ასეთია გიორგი თარგამაძის პოზიცია.

სპეციალურ ბიზნესსაბჭოს დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს. ბიზნესსაბჭოს შემადგენელობაში ბიზნესასოციაციის წევრების გარდა შედიან: დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჩახვაძე, უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, მინისტრის მოადგილეები და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი.

# ამერიკელებმა სააკაშვილი ავტოკრატების სიაში შეიყვანეს

**ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრჯერ განაცხადა, რომ საერთოდ არ აინტერესებს, რა იწერება ქართულ პრესაში. ნაციონალების აღზევებიდან მალევე მიხეილ სააკაშვილმა თავისიანებს პირდაპირ მოუწოდა, არ წაიკითხოთ ქართული გაზეთებიო. მას შემდეგ ხელისუფლება ბეჭდვით მედიას ახლოს არ იკარებს. გაზეთების მოყვარული ნაციონალები კი პრესას ღამის პარტიზანულად ეცნობია.**

თეა მარხვაძე

ქართული პრესა ხელისუფლებას კრიტიკული მასალების გამო არ მოსწონს. თურმე თუ ნაციონალებზე აუგს დაწერ, ამ ქვეყნის მტერი ხარ. ასეთი განწყობა განსაკუთრებით რევოლუციის პირველ ხანებში იყო. ხელისუფლების მსგავსად ასეთივე განწყობა ჰქონდა ხალხსაც. საკმარისი იყო ვარდოსნებზე რამე დაეწერა რომელიმე გაზეთს, რომ მისი ტელეფონი „ფეთქდებოდა“.

განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ ხოლმე. ჟურნალისტებს სააკაშვილის აუგად ხსენებისთვის გულზე ვარდების დაწყობასაც უსურვებდნენ. მერე ის ვარდი დაჭკნა. ამ ქალების დიდი ნაწილი ახლა ვარდებს სხვა მიმართულებით აგზავნის.

ხელისუფლების მაძაგებელ პრესას ნაციონალები უცხოურ გაზეთებს უფრიალებდნენ ხოლმე. სადაც თავიდან ჩვენს ხელისუფლებაზე მხოლოდ კარგი იწერებოდა. მერე იმათაც „აუშვეს“. თუმცა, სააკაშვილის მაქებარი გაზეთები უცხოეთშიც მრავლად არიან.

ოპოზიციის მტკიცებით სააკაშვილს მხოლოდ ის გაზეთები აქებენ, რომლებსაც ხელისუფლება ფულს უხდის. ოპოზიციონერების მტკიცებით, ხელისუფლება ამ მიმართულებით ძალიან დიდი რაოდენობით ფულს ხარჯავს.

მშობლიური გაზეთების მსგავსად ხელისუფლებას პრეტენზიები მთელი რიგი უცხოური მედიასაშუალებების მიმართაც აქვს. ის გაზეთი, რომელიც სააკაშვილზე ცუდს დაწერს, ავტომატურად ცხადდება „გაზპრომის“ დაფინანსებულად. „გაზპრომს“ ბევრი ფული კი აქვს, მაგრამ სააკაშვილის მაძაგებელ ყველა გაზეთს ვერაფრით გასწვდება.

„გაზპრომის“ დაფინანსებული გაზეთების სიაში შესაძლოა გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსიც“ მოხვდეს. ამ გამოცემამ ჩვენი პრეზიდენტი ავტოკრატების სიაში შეიყვანა. კლიფორდ ლევის სტატიამ „ავტოკრატები თავისი ნებით არ მიდიან“ ჩვენი ნაციონალები ძალიან დაალონა. ამ სტატიის ქართულ თარგმანს საიტი „ფორეიგნპრესი“ გვთავაზობს.

— მართალია ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა რეპრესიული მთავრობების წინააღმდეგ მიმართულმა სახალხო რისხვამ მოიცვა, თუმცა, აქ ყოფილ ლენინურ საბჭოთა კავშირში კვლავ რკინის მმართველები იმარჯვებენ. მათი სიცოცხლისუნარიანობა გამოსაფხიზლებელი ფაქტორია მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით ტირანული რეჟიმის დამხობა აუცილებლად სრულყოფილი დემოკრატიით სრულდება, — წერს ლევი თავის სტატიაში.

მას მაგალითისათვის რამდენიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა მოჰყავს. პირველ რიგში ჩვენთან დამეგობრებულ ლუკაშენკოს ახსენებს, რომელიც შარშან კიდევ ერთხელ აირჩიეს პრეზიდენტად.

კლიფორდ ლევი ყველაზე ძლიერ ავტორიტარ მმართველად რუსეთის პრემიერს ასახელებს. ჟურნალისტი იმასაც მიუთითებს, რომ ის სხვებთან შედარებით ახალბედაა. პუტინი ხელისუფლების სათავეში ხომ სულ რაღაც ათი წელია.

— თითქმის ოცი წლის წინ, საბჭოთა კომუნიზმის კრახთან ერთად გაჩნდა იმედი, რომ ამ რეგიონში ხელისუფლება სხვაგვარად განხორციელდებოდა: ახალ დამოუკიდებელ (ყოფილ საბჭოთა) რესპუბლიკებში, რომლებმაც ტოტალიტარიზმს თავი დააღწიეს, თავისუფალი არჩევნები ჩატარდებოდა, გაჩნდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ენერგიული დამოუკიდებელი მედია. მაგრამ ეს იმედები ნაადრევი და გულუბრყვილოც კი აღმოჩნდა. 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლას ქაოსი მოჰყვა (პირველ რიგში, რუსეთში) და საპასუხოდ ავტოკრატთა კორპორაცია გაჩნდა, რომლებმაც სტაბილურობის დამყარებისა და ეკონომიკური ზრდის პირობა დადეს. დემოკრატიის მოდელმა, რომელიც დასავლეთში დამკვიდრდა, ბევრ ქვეყანაში დისკრედიტაცია განიცადა. ამიტომ, იმ ფონზეც კი, როდესაც ეგვიპტის, ლიბიის და არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებმა მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყურადღება მიიპყრო, რეგიონის ლიდერები დარწმუნებულები არიან, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებათ, — წერს გამოცემა.

გავლენიანი გამოცემა რუსული დემოკრატიის ჭკნობაზე საუბრობს. სტატიის ავტორის აზრით, ეს გასული წლის 31 დეკემბერს გამოჩნდა. იმ დღეს რუსული ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი დააპატიმრეს. მათ შორის იყო ბორის ნემცოვი.

რუსულ საზოგადოებაზე მეტად ეს დაპატიმრება ჩვენმა ხელისუფლებამ შეიცხადა. ნაციონალური არხებით ყოველდღე ნემცოვზე გვატირებდნენ. ნაციონალებს ხომ სულ ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლები. სამაგიეროდ იგივე არხებს არაფერი უთქვამთ, როცა ჩვენმა პოლიციამ სრულიად უკანონოდ დაარბია მოშიმშილე ქართველი ვეტერანები. ამის გამო არც ნემცოვზე მოტირალ ნაციონალებს უღვრიათ ცრემლი.

სამაგიეროდ, ეს ფაქტი საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა გააპროტესტა. ეს პროტესტი ჩვენმა ხელისუფლებამ „გაატარა“. თუმცა, ეს სულ სხვა საუბრის თემაა და ეს თემა არც კლიფორდ ლევის წერილში მოხვედრილა. მან სხვა დარბევაზე გაამახვილა ყურადღება.

ამერიკული გამოცემა რუსეთში აჯანყებას არ ვარაუდობს. ამის ნათელ დადასტურებად მას რუსეთში გამართული აქციები მიაჩნია, რომელშიც ათასზე ოდნავ მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

სტატიის ავტორის განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა დიქტატორების პოზიცია განამტკიცა. რადგან მას ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდა მოჰყვა და ისეთი ნავთობსახელმწიფოების ეკონომიკას წაადგა, როგორებიც არიან რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი.

— პოსტსაბჭოთა ლიდერების დღევანდელი თაობა ასევე ოსტატურად თამაშობს 1990-იანი წლების გასაყარზე სილატაკისა და არასტაბილურობის შიშზე, მათ იციან, რომ რთულ დღეებში ადამიანებს ხშირად დემოკრატიულ კაკაფონიას ავტორიტარული წესრიგი ურჩევნიათ, — წერს გამოცემა.

გამოცემა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში გასულ გადაცემასაც ეხმაურება. სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ რატომ არ იყო მოსკოვის ქუჩებით დემონსტრანტებით სავსე.

— ჩვენი ხალხი ითმენს, იტანჯება და მომავალშიც ასე აგაგრძელდება, რადგან საბჭოთა ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალია — აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! ხალხის მენტალიტეტი (ან მისი დიდი ნაწილის) იმდენადაც არ შეცვლილა, რომ თავისუფლების გემოს გრძნობდეს, — განაცხადა „ეხო მოსკვის“ ეთერში ცნობილმა პოლიტოლოგმა გიორგი მირსკიმ.

„ნიუ იორკ ტაიმსი“ გამონაკლისებზეც საუბრობს. ასეთ გამონაკლისებად მას ბალტიისპირეთის ქვეყნები მიაჩნია.

— ბალტიის ქვეყნები, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ევროკავშირში გაწევრიანდნენ და დასავლეთის მორალური ნორმები გაიზიარეს. მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც განცალკევებით ცხოვრობდნენ, რომლის ნაწილიც მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის დაპყრობის შედეგად იქცნენ, — ნათქვამია სტატიაში.

ჩვენს ხელისუფლებას ყველაზე მეტად სტატიის ის მონაკვეთი არ მოეწონებათ, სადაც ფერადი რევოლუციებია ნახსენები.

— უკანასკნელი ათწლეულების ეგრეთ წოდებულმა ფერადმა რევოლუციებმაც კი უკრაინაში, ყირგიზეთსა და საქართველოში, რაც ყველგან ავტორიტარიზმზე უარის თქმად აღიქმებოდა, სულისკვეთება დაკარგა. უკრაინაში, „ნარინჯისფერი რევოლუციით“ უკმაყოფილების გამო, შარშან ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, რომელიც ოპოზიციას პუტინის მსგავსად დევნის. შარშან აჯანყებამ ყირგიზეთში დაამხო მმართველი, რომელმაც მანამდე თავად დაამხო წინამორბედი. შესაბამისად, ყირგიზეთის მეზობელ ცენტრალური აზიის ქვეყნებს ამ ეტაპზე მიაჩნიათ, რომ ყირგიზეთის მოვლენების პრევენციისთვის მათ ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობა სჭირდებათ, — ვკითხულობთ სტატიაში.რუსეთის პრემიერ-მინისტრს და ყოფილ (შესაძლოა მომავალ) პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მუდმივად მეზობელი უკრაინის მაგალითი მოჰყავს. „არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების უკრაინიზაცია“, — განაცხადა ერთხელ პუტინმა.

მშობლიური ოპოზიცია სააკაშვილს ხშირად ახსენებს ხოლმე 2007 წლის 7 ნოემბერს. ამ 7 ნოემბერმა სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის პროჟექტორის იმიჯი დაამსხვრია. ნაციონალებისთვის ის ისევ შუქურაა, მაგრამ დასავლეთის თვალში არა. 7 ნოემბერი სააკაშვილს გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამაც გაუხსენა.

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველო თითქოს დემოკრატიული ტალღის ავანგარდში იყო, მაგრამ 2007 წელს, ამერიკის ახლო მოკავშირე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სასტიკად ჩაახშო საკუთარი ოპოზიცია. ახლა მას მოწინააღმდეგეები პუტინზე უკეთ არ აფასებენ. სააკაშვილის მხარდამჭერები იცავენ მას და ამბობენ, რომ ის არ შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას, როდესაც 2013 წელს მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება. ისინი აცხადებენ, რომ მან საქართველოს მოდერნიზაციის საქმეში უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია და დასძენენ, რომ არ არის რეალური იმაზე ფიქრი, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა სისტემის ნაწილი ქვეყანა ერთ საათში გარდაიქმნება. ასეთია საერთო რეფრენი. ეუთოს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიუროს ხელმძღვანელს, დიპლომატ იანეზ ლენარჩიჩს ძალიან უჭირს ამ ქვეყნების დარწმუნება იმაში, რომ მარწუხები შეასუსტონ, — ვკითხულობთ სტატიაში.

ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატია ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად არ მოეწონება. ან როგორი მოსაწონია, როცა დემოკრატიის შუქურაზე ასეთ რამეს ამბობენ.

თუმცა, ჩვენს ნაციონალებს ამგვარი რამეები ბევრჯერ აქვთ გადატანილი, სადაც წაგებულ ომზე დღემდე გვიმტკიცებენ, მოვიგეთო, რატომ არ დაგვიმტკიცებენ, რომ „ნიუ იორკ თაიმსმა“ სააკაშვილი ავტოკრატად სიყვარულით მოიხსენია. ანდა როგორც სჩვევიათ ხოლმე, გვეტყვიან, რომ ეს „გაზპრომის“ შეკვეთილი ცილისწამებაა.

ნაციონალებისგან განსხვავებით ოპოზიცია ძალიან კმაყოფილია. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ამაყად გაიძახოდნენ — ესეც ჩვენა ვართ, ამერიკაც ავტოკრატად მოიხსენიებს სააკაშვილსო.



# ოპოზიცია არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

საქართველო არავის აღარ ადარდებს. ყველა ხვდება, რომ რუსეთმა მიაღწია თავისას და თავისი გავლენები აბსოლუტურად აღადგინა სამხრეთ კავკასიაში. სომხეთი და აზერბაიჯანი პრაქტიკულად თანხვედრ პროცესებში არიან რუსეთთან, ანუ თავიანთ საერთაშორისო და პრაქტიკულად საშინაო პოლიტიკასაც კი პრაქტიკულად რუსეთს უთანხმებენ. საქართველოს მიმართ რუსეთმა განახორციელა აგრესია და ოკუპაცია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მოსახლეობა რუსეთს მიესალმება. შესაბამისად, მსოფლიო ხედავს, რომ დანარჩენი საქართველო არ არის დემოკრატიული, ხელისუფლება არის ავტორიტარული და არანაირი ნიშანწყალი არ არსებობს დემოკრატიისა. ისინი ყველაფერს ამას ხედავენ და ხვდებიან, რომ საქართველო ვერ გამოვიდა რუსეთის ორბიტიდან და არეალიდან და ხედავენ, რომ რუსეთი ეფექტურად მართავს კავკასიას თურქეთთან ერთად. დასავლეთისთვის საქართველო დღეს არ არის აქტუალური და მთელი ყურადღება გადატანილია ავღანეთზე, ერაყსა და არაბულ ქვეყნებზე.

***— სააკაშვილიც სწორედ ავღანეთით ცდილობს დასავლეთის გულის მოგებას...***

— ყველა ხედავს, რომ ეს არის ფარისევლობა და სასაცილოდ არ ჰყოფნით.

***— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს არ უნდა ჰქონდეს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი?***

— რა თქმა უნდა, არა. რაც მთავარია, დასავლეთში თურქეთის მაგალითზე ყველა ხვდება, რამდენად ეფექტურია და მართვადია ზომიერი ისლამი და რამდენად საშიში იყო ისლამის ჩახშობა და ჩაცემენტება, როგორც იყო ეგვიპტეში, ტუნისში. როცა მსოფლიო მიხვდა, ჯობია პროცესები იმართებოდეს ბუნებრივად, ისლამსაც მიეცეს განვითარების საშუალება, რატომ უნდა ეშინოდეთ სააკაშვილისგან რუსეთის ფაქტორის. თუ კადაფი მსოფლიოს აშინებს ისლამით, სააკაშვილი აშინებს რუსეთით. არიქა და მე თუ არ ვიქნები, რუსეთი მოდის. ესენი კი ამბობენ, ჩვენ ისლამს ვიტანთ და რუსეთი რატომ არ უნდა შემოვუშვათო. სააკაშვილი თავისი წინდაუხედავი, ავანტიურისტული, უგუნური პოლიტიკით, კიდევ უფრო აძლიერებს რუსულ ფაქტორს საქართველოში. სააკაშვილი ვერ გახდა დემოკრატი, ის გახდა უბრალოდ ანტირუსი. დემოკრატი სააკაშვილი შეიცვალა ანტი რუს სააკაშვილად. ანტი რუსი სააკაშვილი კი დასავლეთს არ აინტერესებს. მთავარი რა არის დასავლეთისათვის- კონტროლი და სტაბილურობა. როდის შეაქციეს ზურგი კადაფს და როდის შეაქციეს ზურგი მუბარაკს?- როცა კადაფმა და მუბარაკმა დაკარგეს კონტროლი ქვეყანაზე და ქვეყანას მართავდნენ უკვე სხვა ძალები. ცუდი ძალები, კარგი ძალები, მნიშვნელობა არა აქვს, ე.ი. ეს რეჟიმი ვერ აკონტროლებს სიტუაციას. უცებ აღმოჩნდა, რომ სააკაშვილი რითაც აშინებს მსოფლიოს, ეს რუსეთი კონტროლსაც ამყარებს და სტაბილურობაც შემოაქვს. სააკაშვილი კი ყველამ გაიცნო, როგორც ავანტიურისტი, ყველანაირად მტკიცდება, რომ სააკაშვილი წამოეგო რუსეთის ანკესს, თავისი ავანტიურისტული პოლიტიკით დაიწყო ომი, ანუ სააკაშვილი ჩანს არასანდო, არამდგრად პოლიტიკოსად. ამ ფონზე კი დასავლეთისათვის საშინელება არ არის რუსეთი. დასავლეთისთვის დღეს სააკაშვილის პოლიტიკა უფრო არასანდოა, ვიდრე იგივე ტოტალური რუსეთიფიკაცია ამ რეგიონისა. სააკაშვილი არ სთავაზობს მსოფლიოს მესამე ვარიანტს, ანუ ევროპულ დემოკრატიას.

***— თქვენ რუსეთი ახსენეთ და საქართველოს ბრალდება ტერაქტი დომოდედოვოს აეროპორტში, როგორ ფიქრობთ, რუსეთი საქართველოსთვის იმიჯის შელახვას ცდილობს?***

— არა, ეს არის ზღაპარი. არანაირი ტერაქტი საქართველოს იქ არ ჩაუდენია, მაგრამ თავისი წინდაუხედავი და ავანტურისტული პოლიტიკით რუსეთი ყოველთვის თითს აქეთ იშვერს. სააკაშვილის მთავარი ფაქტორი რა არის, სხვა მას არაფერი არ დარჩენია სახრავი თუ არა ანტირუსული თემისა. ვინაიდან ანტირუსულ თემას მუდმივად ასე აგლახავებს, ამიტომ რუსეთი ამას იყენებს სააკაშვილის წინააღმდეგ. მთელი ტრაგედია ის არის, რომ რუსეთი თავის პოლიტიკით მართავს სააკაშვილის პოლიტიკას ისე, რომ სააკაშვილი აზრზე არაა. ნებისმიერი გამოხტომა სააკაშვილის მხრიდან, იქნება რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა.

***— სააკაშვილი ყოველთვის აძლევს ამის საბაბს, თუნდაც იგივე ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღება...***

— რა თქმა უნდა, არა მარტო უვიზო რეჟიმი, თუნდაც ის, რომ კონფერენციები ჩაატარა თბილისში და დაიწყო ლაპარაკი ჩეჩნებისა და ჩერქეზების გენოციდზე. ყველაფერ ამას ხელზე იხვევს კარგად რუსეთი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დომოდედოვოს ტერაქტში არანაირი კვალი არ არის ქართული, მაგრამ რუსები ეფექტურად იყენებენ სააკაშვილის ანტირუსულ პოლიტიკას, რათა ჩრდილი მიაყენონ საქართველოს.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი არჩევნებისთვის ემზადებაო, როგორ ფიქრობთ, გამოჩნდება ძალა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხებას შეძლებს?***

— ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, რომ 2012 წელს ტარდება საპარლამენტო არჩევნები, საპარლამენტო არჩევნების დროს უნდა გაიშალოს ფრონტი. საპრეზიდენტო არჩევნების დროს საერთოდ იკვრება და ერთ-ორ კანდიდატზე ხდება ოპოზიციის შეთანხმება. ის ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც შეუძლია გადალახოს 4-5%, მარტო უნდა გავიდეს არჩევნებში, რათა ამომრჩეველი მაქსიმალურად ჩართოს არჩევნებში.

***— სააკაშვილმა ლიტვურ ჟურნალს ინტერვიუ მისცა, სადაც აცხადებს, რომ ქართული ოპოზიცია ისეთი ძლიერი არ არის, როგორსაც მე ვისურვებდიო, როგორ ფიქრობთ, ცრუობს პრეზიდენტი?***

— რა თქმა უნდა, ეს ყალბი განცხადებებია. სააკაშვილს არ აწყობს ძლიერი ოპოზიცია და მან ყველაფერი გააკეთა, რომ ოპოზიცია სუსტი ყოფილიყო.

## ტერიტორიის დაზიანებისთვის ჯარიმები წესდება

სარემონტო სამუშაოების წარმოებისას თბილისის ტერიტორიის დაზიანებისთვის, ჯარიმები წესდება.

„ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები დეპუტატების კახა ანჯაფარიძის და ანდრო ალავიძის ინიციატივით შედის.

კანონპროექტის თანახმად, თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელი მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება ან და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა თუ შეუსრულებლობა, ფიზიკური პირის 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის 2000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას ითვალისწინებს. თუ აღნიშნული ქმედებები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში განხორციელდება, მაშინ ფიზიკურ პირს 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირს 4000 ლარის ოდენობით დააჯარიმებენ. თუ პირი ჯარიმას არ გადაიხდის, მას საურავი დაეკისრება, საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ორივე მათგანის გადაუხდელობისას კი, სახელმწიფო მისგან თანხას იძულებით ამოიღებს.

ინტერპრესნიუსი

## ქართველი მეცნიერები უნივერსიტეტების დაფინანსებას ითხოვენ

ქართველი მეცნიერები უნივერსიტეტების დაფინანსების აუცილებლობაზე საუბრობენ. როგორც საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებთან“ შეხვედრაზე მეცნიერებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი, რათა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა. მეცნიერებმა მაგალითად მოიყვანეს თურქეთში, ერზრუმში დაარსებული უნივერსიტეტი, რომლის ბიუჯეტიც 100 მილიონი ევროა. მათი თქმით, დღეს ამ უნივერსიტეტში იწვევენ ქართველ მეცნიერებს, აღფრთოვანებულნი არიან ქართული ინტელექტით.

მეცნიერები, ზოგადად, მეცნიერების დაფინანსების პრობლემაზეც საუბრობენ და ამბობენ, რომ შეუძლებელია, მომავალი თაობების მიზიდვისთვის მეცნიერს ხელფასი 180 ლარი ჰქონდეს.

მათი განცხადებით, ქვეყანას სჭირდება ერთიანი კონცეფცია მეცნიერების განვითარებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო უინტელექტო ქვეყნად ჩამოყალიბდება.

— ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ განათლება ჯდება ძვირი, მაგრამ საინტერესოა, რა დაჯდება გაუნათლებელი ქვეყანა, — აცხადებენ მეცნიერები და დასძენენ, რომ დღეს არის ასეთი მიდგომა — თავის ტკივილის წამალი არის გილიოტინა, ეს კი — დაუშვებელია.

უმაღლესი სასწავლებლების პრინციპი დღეს შეიცვალა, კერძოდ უმაღლესი სასწავლებლები ფინანსდებიან ვაუჩერების მეშვეობით და მათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკე ბიუჯეტი აღარ აქვთ გამოყოფილი.

ინტერპრესნიუსი

## სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით განსასჯელი გენადი სუბარი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 1949 წელს დაბადებულ გენადი სუბარის მიმართ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, გენადი სუბარს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - ქურდობა, კერძოდ ქ.თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №3-ში მდებარე ტყე-პარკის დამცავი ღობის რკინის ორფრთიან კარების ფარული დაუფლება, რაც 2010 წლის 24 ივნისს სამართალდამცავების მიერ ამოღებულ იქნა გენადი სუბარის საცხოვრებელი სახლის ეზოდან.

გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს. როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიებისას გენადი სუბარმა მისთვის შერაცხულ ინკრიმინირებულ ქმედებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ რკინის კარები იყო ჩამოტეხილი და იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო გარეშე პირთა მიერ მისი მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ის აღნიშნულ კარებს საცხოვრებელი სახლის ეზოში ინახავდა.

სასამართლო სხომაზე მოწმის სახით დაკითხულმა განსასჯელის მეზობლებმა სრულად დაადასტურეს გენადი სუბარის ჩვენება.

განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული ჩვენებები, ასევე საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული სხვა მტკიცებულებები, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი წარდგენილი ბრალდებით პირის დამნაშავედ ცნობისთვის.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ გენადი სუბარი უდნაშაულოდ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

# რუსეთს დიპლომატიური მეთოდებით ვებრძვით

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის ფედერაციის საბჭოს პირველი მოადგილის ალექსანდრ ტორშინის განცხადებას გამოეხმაურნენ. ტორშინის განცხადებით, დომოდედოვოს აეროპორტში მომხდარი ტერაქტი თითქოს საქართველოს მთავრობის მიერ იყო დაკვეთილი და ეჭვმიტანილი დოკუ უმაროვი არაფერ შუაშია.**




საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული განცხადება დამაფიქრებელი უნდა იყოს, როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე აღნიშნავს, რომ ალექსანდრ ტორშინის განცხადება მხოლოდ მას არ ეკუთვნის და ეს რუსეთის სპეცსამსახურების მიზანმიმართული პროვოკაციაა.

კალანდაძე განმარტავს, რომ აღნიშნულ განცხადებაში რეალურად რუსული სპეცსამსახურების კვალი იგრძნობა, რომელიც კვლავ ცდილობს საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას და მის წინააღმდეგ ამოქმედებული გეგმის გააქტიურებას.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ აღნიშნული განცხადება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი თანამდებობის პირის მიერ მიცემული ინტერვიუ.

— როდესაც ასეთი სრულიად, უხეშად რომ ვთქვათ, ციდან მოტანილი განცხადებების საჯარო პირების მიერ განცხადება ხდება, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომლებიც საკუთარი მოქალაქეების დაცვის ნაცვლად უფრო მეტად გაწაფული არიან მეზობელი ქვეყნების სუვერენულ ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობით, რაც ამ განცხადებისგან განსხვავებით, დასაბუთებულად და მტკიცებულებების საფუძველზე არსებობს და შეიძლება ხელი დაედოს, რასაკვირველია, რომ ამ განცხადების მიღმა უნდა დავინახოთ ბევრად უფრო სერიოზული ჩანაფიქრი, ვიდრე მხოლოდ ერთი პირის მიერ მიცემული ინტერვიუ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამ ტიპის განცხადებები კეთდება. მით უმეტეს, რომ სრულიად უსაფუძვლო განცხადებაზე თვითონ რუსული სამართალდამცავი ორგანოებიდანაც არც ერთი მინიშნებაც კი არ გაკეთებულა იმაზე, რომ რაიმე სახის კვალი შეიძლება საქართველოდან მოდიოდეს, — განაცხადა კალანდაძემ.

ქართველი პოლიტიკოსები ალექსანდრ ტორშინის განცხადებას უსინდისო ბოდვას უწოდებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოკა გაბაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ დიპლომატიურ გზას ირჩევს და არა ტერორისტულ გზას.

— საქართველოს არანაირი კავშირი ტერორთან არა აქვს და არც ექნება. საქართველო თავის ეროვნულ ინტერესებს იცავს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ტერორისტი და ოკუპანტი რუსული პოლიტიკის და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ამ ბრძოლაში ვიყენებთ დიპლომატიურ მეთოდებს, ჩვენ ამ ბრძოლაში ვიყენებთ ყველა იმ საშუალებას, რომელიც გაგვაჩნია და რომელიც გამართლებულია, — აცხადებენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

„რასიისკაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ტორშინმა საქართველო დომოდედოვოს ტერაქტის ორგანიზებაში დაადანაშაულა.

ალექსანდრ ტორშინს არ სჯერა დომოდედოვოს აეროპორტში მოწყობილ ტერაქტში დოკუ უმაროვის მონაწილეობის.

საქართველოს ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნის პროვოკაციულ განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ.

საქართველოს დიპლომატიურ უწყებაში სხვა საკითხებზეც გამახვილდა ყურადღება. საქართველოს პირველი დიპლომატის ვიზიტებზე ისაუბრა კალანდაძემ.

გრიგოლ ვაშაძე 1-2 მარტს ეგვიპტეში გამართავს შეხვედრებს. ეგვიპტეში მთავრობის ცვლილების შემდეგ აღნიშნული ვიზიტი საქართველოს მთავრობიდან პირველია.

საგარეო საქმეთა მინისტრი ეგვიპტელი კოლეგის გარდა, არაბული ლიგის თავმჯდომარესთან გამართავს შეხვედრებს.

ეგვიპტიდან ვაშაძე სლოვაკეთში გადაინაცვლებს, სადაც ის სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართავს შეხვედრებს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გაკეთდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, მალაიზიაში დაკავებულ საქართველოს მოქალაქე ქალბატონებს ეხებათ.

კალანდაძის ინფორმაციით, საბოლოო განაჩენი ჯერ არ გამოუტანია მალაიზიის სასამართლოს.

— ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილება იქნა ამ ეტაპზე მიღებული მალაიზიური სასამართლოს მიერ. ჩვენ ვიცით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული ერთი ქალბატონის შემთხვევაში, მეორე ქალბატონის შემთხვევაში კი საერთოდ არ ჩატარებულა დამატებითი სასამართლო პროცესი. ჩვენ შეძლებისდაგვარად კავშირზე ვართ მალაიზიასთან. თქვენ იცით, რომ ჩვენ წარმომადგენლობა არ გვაქვს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მალაიზიის სახელმწიფო დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდის ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

# ნუგზარ წიკლაური ტორშინმა აღაშფოთა

ნანა მიშელაშვილი




რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ტორშინი საქართველოს ხელისუფლებას „დომოდედოვოს“ ტერაქტის ორგანიზებაში ადანაშაულებს.

„რასიისკაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ალექსანდრე ტორშინმა განაცხადა, რომ „დომოდედოვოს“ აეროპორტში ტერაქტის ორგანიზებაში დოკუ უმაროვის მონაწილეობის არ სჯერა. იგი ვარაუდობს, რომ უმაროვზე მხოლოდ დამკვეთების ფულმა გაიარა და „დომოდედოვოს“ ტერაქტი რეალურად, საზღვარგარეთიდან იყო ორგანიზებული.

ქართველი დეპუტატები ტორშინის განცხადების გამო აღშფოთებას გამოთქვამენ. რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადების გამო შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ ტორშინის განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური გამოეხმაურა.

— ამ ბრალდებას სხვა ბრალდებებთან ის აკავშირებს, რომ სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს, არანაირად არ არის არგუმენტირებული. ჩვენ რამდენიმე თვის წინ რუსეთის ხელისუფლებას მივმართეთ, რომ თუკი რაიმე ფაქტები და არგუმენტაციაა, მიაწოდონ ქართულ მხარეს და ერთობლივად გადავდგათ ნაბიჯები ტერორიზმთან ბრძოლისათვის. მათი მხრიდან ასეთი რამ არ მომხდარა, ამიტომ ზუსტად ვიცით, რომ ეს არის ძალიან არასერიოზული, უპასუხისმგებლო თამაშის ნაწილი, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

უმრავლესობის წევრის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლებას ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში, ზოგადად ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის თვალსაზრისით, მათ სურთ, რომ თავიანთი პრობლემები სხვა ქვეყნებზე იყოს გადამისამართებული.

ნუგზარ წიკლაური ტორშინის გამონათქვამებს აბსურდულსა და უპასუხისმგებლოს უწოდებს, რომლისაც თავად რუსეთშიც არავის არ სჯერა.

# საქალაქო სასამართლოში სამართლის კლინიკა გაიხსნება

28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომა-



რემ მამია ფხაკაძემ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის უმთავრესი მიზანია, ისეთი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება სამართლებრივი კვლევების, სასამართლოს, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის და სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის, საქალაქო სასამართლოს ბაზაზე, იურიდიული კლინიკის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროებს.

პროექტის დასრულების შემდეგ ჩატარდება სტუდენტური ოლიმპიადა და გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები.

ხელმოწერის ცერემონია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

# სკოლის დირექტორებს კონკურსით შეარჩევენ

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სკოლების დირექტორთა შესარჩევი კონკურსი დაიწყო.**

ნათია ხურცილავა

კახა ლომაიას მინისტრობის დროს სკოლის დირექტორები ლოტოტრონის მეშვეობით აირჩა.

სწორედ ლოტოტრონის მეშვეობით ჩატარებული არჩევნები გახდა ლომაიას რეფორმის შავი წერტილი, რასაც მოგვიანებით პრეზიდენტმა საააკაშვილმა სისულელე უწოდა.

შაშკინისეული განათლების რეფორმა სკოლის დირექტორების შერჩევას კონკურსის გზით აპირებს.



დიმიტრი შაშკინის განცხადებით, შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია უკვე დაიწყო და 20 მარტამდე გასტანს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება კი უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

გამოცდა ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე დირექტორობის მსურველი გაივლის ინდივიდუალურ ტესტირებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით.

კონკურსის მეორე ეტაპზე გასაუბრებაზე დაიშვებიან პირები, რომლებიც გადალახავენ ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, დირექტორობის მსურველ პირს, რომელმაც 100 ქულიდან 70 ქულა მაინც უნდა დააგროვოს, სკოლების სამეურვეო საბჭოს წარუდგენენ. დირექტორად დამტკიცება სწორედ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდება.

დიმიტრი შაშკინმა პრესკონფერენცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან ერთად ჩაატარა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გია მამულაშვილის განმარტებით, შესარჩევი კონკურსის მიზანია გამოავლინოს პროფესიონალი კადრები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტებს და შეძლებენ უზრუნველყონ საჯარო სკოლის უწყვეტი განვითარება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, ზოგადი განათლების სისტემის სრულყოფისა და საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება.

კადრების პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით მიმდინარე სიახლეებზე აკეთებენ აქცენტს.

**დიმიტრი შაშკინი:**

— ნებისმიერი სკოლის წარმატება ძალიან დიდწილად დამოკიდებულია დირექტორის კანდიდატურაზე, რამდენად წარმატებულია სკოლის დირექტორი, რადგან კარგ მენეჯერს, კარგ დირექტორს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, რომ სწორი მიმართულებით უხელმძღვანელოს სკოლას. ჩვენ უკვე დავიწყეთ სკოლის დირექტორების მსურველების რეგისტრაცია. ეს პროცესი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ დირექტორებს, რომლებიც არ არიან სამეურვეო საბჭოს არჩეულები. სასერთიფიკაციო პროცესი არ ეხება უკვე არჩეულ დირექტორებს. კონკურსი შეეხება მხოლოდ იმ პიროვნებებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ სკოლის დირექტორი გახდნენ ან უკვე ასრულებენ დირექტორის მოვალეობას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების ციკლთან ერთად ჩაატარებს ამ გამოცდებს. გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება.

**გია მამულაშვილი:**

— რეგისტრაცია ელექტრონული საშუალებით ხდება. რეგისტრაცია გაგრძელდება 20 მარტის ჩათვლით. დღეისთვის უკვე რამდენიმე ათეული მსურველი არის დარეგისტრირებული. კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია, ვინც საქართველოს მოქალაქეა და უმაღლესი განათლება აქვს. ორეტაპიანი გამოცდა იქნება, ერთი იქნება ტესტური გამოცდა, რომელსაც კომპიუტერის საშუალებით ჩააბარებენ, მეორე კი გასაუბრება იქნება.

ტესტირების პირველი ეტაპი 31 მარტს გაიმართება. გამარჯვებულ კონკურსანტებს განათლების სამინისტროში მაისის ბოლოსთვის გამოავლენენ.

# „სახალხო კრება“ ახალგაზრდულ მოძრაობას აფუძნებს

„სახალხო წარმომადგენლობითი კრება“ 3 მარტს ახალგაზრდულ მოძრაობას დააფუძნებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, ღონისძიება სასტუმრო „შერატონში“ 13:00 საათზე გაიმართება.



ახალგაზრდულ მოძრაობას მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში ლუკა კურტანიძე უხელმძღვანელებს.

— „სახალხო კრება“ მოწოდებულია იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს გაერთიანება იმ იდეებისა და ღირებულებებისათვის, რასაც საქართველოს გადარჩენა ჰქვია. „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ფრთა კი ამ რეჟიმის მოშორებაში უდიდეს წვლილს შეიტანს, — აცხადებს კურტანიძე.

გარდა ახალგაზრდული მოძრაობის ჩამოყალიბებისა, „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ აღმასრულებელი საბჭო მთელი ქვეყნის მასშტაბით წინააღმდეგობის კომიტეტების ჩამოყალიბებას კვლავ აქტიურად განაგრძობს.

**ინტერპრესნიუსი**

# სამინისტროში გადაადგილებები დაიწყო

ნანა მიშელაშვილი

**რამდენიმე მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს. მინისტრების მოადგილეების დონეზე საკადრო გადაადგილებები რამდენიმე ხნის წინ დაიწყო. ზოგიერთი მინისტრის მოადგილე თანამდებობას ტოვებს, ზოგიერთი კი ერთი უწყებიდან მეორეში გადადის.**

პრემიერმა ნიკა გილაურმა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ ნათია მიქელაძე დანიშნა. მიქელაძე აქამდე ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო, თუმცა, ახალა ენერგეტიკის უწყებაში მოუწევს საქმიანობა.

კიდევ ერთი სიახლე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილეს შეეხება. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან ზინაიდა ბესტაევა გათავისუფლდა. სად დაინიშნება ბესტაევა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

კობა სუბელიანს ახალი მოადგილე ჰყავს. კობა სუბელიანის მოადგილედ სამი კვირის წინ გიორგი გამსახურდია დაინიშნა. 8 თებერვალს, პრემიერის ბრძანებით, გიორგი გამსახურდია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

ასე რომ, საკადრო გადაადგილებები მინისტრების დონეზე ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება. ოპოზიცია ამბობს, რომ მინისტრების მოადგილეების დონეზე „კარუსელი“ ტრიალებს.

რაც შეეხება მინისტრების მივლინებებსა და მათ საზღვარგარეთ გამგზავრების წესებს, ამ კუთხითაც სიახლეა.

ზოგიერთმა მინისტრმა და მისმა მოადგილემ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად წინასწარ წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს პრემიერ-მინისტრს. მთავრობის წევრებსა და მათ მოადგილეებს სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნები აქვთ.

ახალი ცვლილებების თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრმა (გარდა საგარეო საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისა) და მისმა მოადგილემ სამსახურებრივი მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად წინასწარ წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს პრემიერ-მინისტრს. მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანხმობით განხორციელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში მიმართვა პირის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებამდე უნდა წარდგეს.აღნიშნულ მიმართვაში უნდა აღინიშნოს ინფორმაცია სამსახურებრივი მივლინების მიზნის, ხანგრძლივობისა და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ.

# რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აქციას ამზადებს

გერა მამულაშვილი

**მოსკოვი ამაოდ აგრძელებს ტერაქტებში „ქართული კვალის“ ძებნას. მიზანი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს დისკრედიტაციაა. ექსპერტები მოსკოვის მხრიდან ლოკალურ სამხედრო აქციასაც არ გამორიცხავენ და ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.**

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ ტორშინი საქართველოს ხელისუფლებას დომოდედოვოს ტერაქტის ორგანიზებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ მან „როსიისკაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.



ტორშინმა ტერაქტებზე საუბრისას განაცხადა, რომ დომოდედოვოს აეროპორტში ტერაქტის ორგანიზებაში დოკუ უმაროვის მონაწილეობის არ სჯერა. იგი ვარაუდობს, რომ უმაროვზე მხოლოდ დამკვეთების ფულმა გაიარა და დომოდედოვოს ტერაქტი რეალურად, საზღვარგარეთიდან იყო ორგანიზებული.

— მართალია, მესმის, რომ ჩემი სიტყვები მრისხანებას გამოიწვევს, მაგრამ ჩემი აზრით, ამ ტერაქტის ორგანიზატორი საქართველო და მისი მმართველი რეჟიმია, — განაცხადა ტორშინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი რუსეთის მიმართ სიძულვილს არ მალავს და „ანტირუსული განწყობა კონკურენტულ საქონლად აქცია, რომელსაც ის ყიდის.

— ქართული ღვინო უცხოეთის ბაზრებზე სუსტად იყიდება, რუსოფობია კი მოთხოვნადია. სააკაშვილის რეჟიმს ტერაქტის ორგანიზებისთვის უმაროვიც არ სჭირდებოდა, რამდენადაც არის ოსი მოღალატე — სანაკოევი და მისი აგენტურა. რაც შეეხება დამკვეთებს, არ მახსენდება, რომ რომელიმე ტერაქტის გამოძიება დამკვეთზე გასულიყო. უკეთეს შემთხვევაში ორგანიზატორებს პოულობენ და ასახელებენ, — განაცხადა ტორშინმა.

მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში, 24 იანვარს, ტერაქტის შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა და ასზე მეტი დაიჭრა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერმა დოკუ უმაროვმა აიღო.

თბილისში ალექსანდრ ტორშინის ბრალდებას „უსინდისო ბოდვად“ და გამიზნულ პროვოკაციად აფასებენ. საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ირაკლი ქავთარაძის თქმით, ტორშინის მიზანი საერთაშორისო არენაზე საქართველოს დისკრედიტაციაა.

— რუსეთი ასევე ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას იმ დამღუპველი პოლიტიკის შედეგებზე, რომელსაც ის ჩრდილოეთ კავკასიაში აწარმოებს, — აცხადებს ქავთარაძე.

პარლამენტარ გოკა გაბაშვილის განცხადებით, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ დიპლომატიურ გზას ირჩევს და არა ტერორისტულს.

— არანაირი კავშირი საქართველოს ტერორიზმთან არ აქვს და არც ექნება. საქართველოს პოზიციაა მისი ინტერესების დაცვა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად მართლაც ტერორისტი რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ამ ბრძოლაში ვიყენებთ მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებს, — აცხადებს გაბაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, გიორგი თარგამაძის აზრით, ტორშინის განცხადება „იმ საერთაშორისო პიარკამპანიის გაგრძელებაა, რომელიც საქართველოს, როგორც ტერორიზმის ხელშემწყობი ქვეყნის იმიჯის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად“.

თარგამაძის თქმით, ამ ემოციურ განცხადებას ზურგს არაფერი უმაგრებს, რაც ასეთი ტიპის ტერორისტულ აქციებში საქართველოს თუნდაც ირიბ მონაწილეობას დაადასტურებდა“.

— ვფიქრობ, ჩვენის მხრიდან ძალზე წამგებიანი, არასწორი და ამასთან, მორალურად და პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იქნება იმის ანალიზი, შეეძლო თუ არა ქართულ სპეცსამსახურებს მოსკოვის ცენტრში ტერაქტის ორგანიზება და პოზიციის ამ კუთხით დაფიქსირება. ამავდროულად მეტი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, ვინაიდან საქმე გვაქვს მოწინააღმდეგესთან, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ საკუთარ აგრესიას თუნდაც ამ სრულიად აბსურდული ბრალდებით გაამართლებს, — აცხადებს თარგამაძე.

პარლამენტარი გურამ ჩახვაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის რეაქცია ტორშინის უსაფუძვლო ბრალდებაზე „ძალზე მკაცრი“ უნდა იყოს. მისივე თქმით, საქართველომ ეს საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციებში უნდა დააყენოს, რადგან დეპუტატის აზრით, „შესაძლოა მსგავსი ტიპის პროვოკაციულ განცხადებებს შესაბამისი ქმედებებიც მოჰყვეს“.

ამავე დროს პოლიტოლოგი ზაალ ანჯაფარიძე ტორშინის განცხადებებს, ასევე „შესაძლო ქართულ პროვოკაციებზე“ რუსეთის ოფიციალური პირების გახშირებულ ბრალდებებს, აშშ-ს დაზვერვის ნაციონალური სამსახურის დირექტორის, ჯეიმს კლაპერის მოხსენებას უკავშირებს. კერძოდ, მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მიერ რუსეთის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან საზღვრების გახსნა იმ პირობებში, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალები სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში იმყოფებიან — რეგიონში დაძაბულობას ხელს უწყობს.

— ძალზე გახშირდა რუსეთის ოფიციალური პირების მხრიდან განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამასთან, ასეთი ბრალდებები ყველაზე მაღალ დონეზე ისმის ხოლმე, — აღნიშნავს ანჯაფარიძე.

ექსპერტი თვლის, რომ რუსეთი მიზეზს ეძებს იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკური და პროპაგანდისტულ-საინფორმაციო თვალსაზრისით „დარტყმა“ მიაყენოს. იმ მიზნით, რომ საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნად წარმოაჩინოს.

ექსპერტის აზრით, მოცემულ სიტუაციაში საქართველოს ხელმძღვანელობამ „ძალიან სწრაფად და ნათლად“ უნდა იმოქმედოს. თბილისმა რუსეთისგან უნდა მოითხოვოს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მსგავსი ბრალდებების სინამდვილეს დაადასტურებენ.

— რუსეთის ფედერაციამ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა წარუდგინოს რაღაც მტკიცებულებები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ, რომ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაკავშირებულია იმასთან, რაც დომოდედოვოში მოხდა, — ამბობს ექსპერტი.

ზაალ ანჯაფარიძე თვლის, რომ შექმნილ სიტუაციაში რუსეთი ცდილობს „საკუთარი მიზნებით გამოიყენოს“ აშშ-ს დაზვერვის ნაციონალური სამსახურის დირექტორის მოხსენება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთკავკასიელ მეზობლებთან კავშირების განმტკიცებისთვის საქართველოს ხელმძღვანელობის ნაბიჯები რეგიონში დაძაბულობას ხელს უწყობს.

— სავალდებულო არაა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი შეეცდება შექმნილი ფონი გამოიყენოს იმისთვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ ლოკალური სამხედრო აქცია განახორციელოს, — აცხადებს პოლიტოლოგი.

# რას საქმიანობს „ბერმუხა“ და რას ედავებიან მის თავმჯდომარეს?!

გულიკო ბალა ე

**სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს" რედაქცია დალუქეს. გაზეთის რედაქციის ოფისის დალუქვის მიზეზი საჯაროდ ცნობილი არ არის, მაგრამ ეს პროცესი უკავშირდება საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხას" თავმჯდომარის, 75 წლის ელენე კახნიაშვილის „თაღლითად" გამოცხადებას. ელენე კახნიაშვილი გახლავთ სახალხო ფრონტის წევრი და მისი არასამთავრობო ორგანიზაცია სახალხო ფრონტის გაზეთის ოფისშია განთავსებული.**

ამა წლის 15 თებერვალს ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომელშიც ასოციაცია „ბერმუხა“ და მისი თავმჯდომარე ელენე კახნიაშვილი, ფაქტობრივად, „3-ლარიანი თაღლითობის“ ორგანიზატორად წარუდგინეს საზოგადოებას. როგორც ირკვევა, ასოციაცია „ბერმუხას“ თავმჯდომარე ელენე კახნიაშვილს „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოცუზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარემ, უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა რობიზონ კალაძემ და ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ შოთა სხულუხიამ თანამშრომლობა შესთავაზეს და მასთან მემორანდუმიც გააფორმეს.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები თანხმდებოდნენ ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის პროექტების ერთობლივ შემუშავება-განხორციელებაზე. ასოციაცია „ბერმუხას“ უნდა უზრუნველეყო საქართველოს მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის პროექტებში გაერთიანება, ეწარმოებინა მათთან ახსნა-განმარტებითი საქმიანობა და ორგანიზება გაეწია სოცუზრუნველყოფის ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის, როგორც ინდივიდუალურად, ასევე „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოცუზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიულ კავშირთან“ ერთად.

რობიზონ კალაძე და შოთა სხულუხია ელენე კახნიაშვილს არწმუნებდნენ, რომ მათი კავშირი ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციიდან (ოფიციალურად „ვაშინგტონის ფონდიდან“, ხოლო არაოფიციალურად, ამერიკაში მცხოვრები ერთ-ერთი გავლენიანი ქართველი ბიზნესმენისაგან) ცდილობდნენ დაფინანსების მოპოვებას. ამისთვის კი საჭირო იყო, კავშირს ჰყოლოდა გარკვეული რაოდენობა წევრებისა. ამერიკული ორგანიზაციიდან დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, ისინი მათი კავშირის წევრებს დაეხმარებოდნენ, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, გაწევრიანების თანხას (3 ლარი) მოქალაქეებს დაუბრუნებდნენ.

მემორანდუმის თანახმად მუშაობა მიმდინარეობდა. კახნიაშვილმა თავისი ავტორიტეტით შეძლო 12 ათასი ადამიანის გაწევრიანება, რადგან მას კავშირები ჰქონდა სოფლებში, როგორც „საქართველოს სოფლების აღორძინების“ (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნოდარ ნათაძეცაა) ფონდის თავმჯდომარეს და ამ მიმართულებით მრავალი პროექტის ავტორს, რომლის განხორციელებასაც ის საქართველოს მთავრობასა თუ საპატრიარქოს სთხოვდა.

როგორც ელენე კახნიაშვილი აცხადებს, 12 ათასი კაციდან დაახლოებით 4 ათასი კაცი სრულიად უფასოდ გააწევრიანა. ამიტომ გაურკვეველია, რაში მდგომარეობდა ელენე კახნიაშვილის „თაღლითობა“? მით უმეტეს, რომ არავის განუცხადებია აღნიშნული პროექტის ჩავარდნის თაობაზე. მართალია, კავშირში გაწევრიანებულ ადამიანებს ჰპირდებოდნენ, რომ დახმარება შესაძლოა 1 თებერვლისთვის მოსულიყო, მაგრამ დაგვიანდა.

ელენე კახნიაშვილი ამბობს, რომ ის უანგაროდ, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე აკეთებდა საქმეს, რადგან მასაც, როგორც სხვებს, ამერიკიდან დახმარების შემთხვევაში ჰპირდებოდნენ მის მიერ გაწეული საქმიანობის გამო ხელფასის დანიშვნას.

ელენე კახნიაშვილი აცხადებს, რომ შემოსული საწევროს თანხა მას სხულუხიასთან ერთად „სტანდარტ ბანკში“ შეჰქონდა. ის სულუხიას ბრმად ენდობოდა. ბანკში ფულის შეტანისას ხელს სხულუხია აწერდა. როგორც ახლა ირკვევა, თანხა სხულუხიას კავშირის ანგარიშზე კი არა, თავის ანგარიშზე შეჰქონდა. კახნიაშვილის თქმით, საწევრო შენატანები „სტანდარტბანკში“ სხულუხიასთან ერთად რომ შეჰქონდა, ეს დასტურდება ბანკში არსებული ვიდეოფირებით. ასევე ამას ბანკის თანამშრომლებიც დაადასტურებენ.

ამჟამად, ადამიანის უფლებათა კავშირის თავმჯდომარე კალაძე და მისი მოადგილე დაპატიმრებული არიან, ხოლო ელენე კახნიაშვილს სასამართლომ 10 ათასი ლარის შეტანა დააკისრა და გაათავისუფლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, 10 ათასი ლარი მან 10 დღეში უნდა შეეტანა, ანუ 1 მარტისთვის. ელენე კახნიაშვილი კი აცხადებს, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს, პირიქით, ის დაზარალებული და შეურაცხყოფილია, რადგან მისი ავტორიტეტი მიწასთანაა გასწორებული. არც ფული აქვს შესატანი.

ელენე კახნიაშვილი ვარაუდობს, რომ მის მიმართ რამენაირი ბრალის წამოყენებაში შეიძლება ხელისუფლება იყოს დაინტერესებული, რადგან წლების განმავლობაში სხვადასხვა საკითხზე მრავალი პროექტი წარადგინა და ხელისუფლებას რეაგირებას სთხოვდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, სოფლების აღორძინების თაობაზე, წერდა მწვავე წერილებს, მიმართავდა ქვეყნის პირველ პირებს.

— ***ქალბატონო ელენე, თქვენ მიმართ დაინტერესება რატომ უნდა ყოფილიყო?***

— როცა დავინახე, სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევდა, ჩვენი სოფლები იღუპებოდა, გლეხების მიგრაცია იყო, ასოციაცია „ბერმუხამ“ დააფუძნა „საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი“. ეს ფონდი ითვალისწინებდა სოფლებში მოსახლეობის მიბრუნებას, გლეხების მიბრუნებას (ვისაც გაქალაქებულ გლეხებს ვეძახით), სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინებას.

— ***კონკრეტულად იმაზე რას იტყვით, რაზეც ბრალი წაგიყენეს?***

— მე რაზედაც ვმუშაობდი — გალატაკებული ხალხის დახმარებაზე, სოფლის მეურნეობის აღდგენაზე — სწორედ ასეთი პროექტით შემოვიდნენ ჩემთან კალაძე და სხულუხია. ისინი ჩემთან ერთ-ერთი პარტიის „მეგობრობის“ ხელმძღვანელმა მოიყვანა.სოლიდური წარმომადგენლობა მოვიდა, რომ ეჭვი ვერაფერში შემეტანა. ხუთი მამაკაცი მოვიდა. აქედან ერთი — პარლამენტის ყოფილი წევრი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი. მათ წარმომიდგინეს სხულუხია, რომელიც მრავალი პროექტის ავტორია, მათ შორის, ბავშვთა სახლების. მე ვაწევრიანებდი ადამიანებს და საწევრო თანხა შემქონდა ბანკში სხულუხიასთან ერთად. მათ ყველანაირად ვენდობოდი. პირდაპირ მოლარესთან ვაძლევდი ფულს, რომელიც პირდაპირ ბანკში შეგვქონდა.

— ***ფულის შეტანაზე თქვენ ხელს არ აწერდით?***

— მე ხელს არ ვაწერდი, მაგრამ მე დაფიქსირებული ვარ სათვალთვალო კამერით, რომ მე სულუხიას ფულს ვაძლევდი, ხოლო მას ის ფული შეჰქონდა ბანკში. ბანკში უკვე მცნობდნენ, მესალმებოდნენ და იციან, რომ ფული მე შემქონდა.

— ***თქვენ ვინმემ მოგაკითხათ და გითხრათ, შეპირებულ დახმარებას რატომ არ გვაძლევთო?***

— ჩემთან მაგ საკითხზე არავინ მოსულა. ყველამ იცოდა, დახმარებას შეიძლებოდა დაეგვიანა და 1 თებერვალს არ მოსულიყო. ეს საქმე წამოიწყო ტელევიზიამ. ტელევიზია რომ მოვიდა, მათ ყველაფერი ავუხსენი. მათ პირდაპირ იმით დაიწყეს, რა უფლება გაქვთ, რომ თანხას იღებთ და აქ ხალხს აწევრიანებთო.

— ***ადამიანების კავშირში გაწევრიანება აკრძალული არ არის, ვისაც გინდა, იმას გააწევრიანებ...***

— 10-15 წუთი მასაუბრეს, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ გაუშვეს იმის შესახებ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, უფლება მაქვს, საწევრო ავკრიფო და მასში ხალხი გავაწევრიანო.

— ***თაღლითობა რაში იყო?***

— არაფერში. 12 ათას კაცში მხოლოდ 7 კაცი მოვიდა თხოვნით, რომლებსაც იმ წუთშივე გავუფორმეთ დოკუმენტი და თანხა უკან მივეცით. სხვა აქ არავინ მოსულა ისეთი, ვინმეს რომ ეჩივლა, მაგრამ დაფიქსირებული აქვთ, თითქოს შეტყობინება შევიდა.

ელენე კახნიაშვილის შვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კახნიაშვილი კი აცხადებს, რომ მისი დედის, ელენე კახნიაშვილის თაღლითობაში დადანაშაულება მეაბრეშუმეობასთან და იმ პროექტებთან არ არის დაკავშირებული.

— თუ მისი დედის მიმართ წამოყენებული ბრალდება მეაბრეშუმეობასთან და სხვა პროექტებთანაა დაკავშირებული, მაშინ რა შუაშია სახალხო ფრონტი და „ბერმუხა“? — კითხულობს იგი.

**ავთანდილ კახნიაშვილი:**

— სამწუხაროდ, სიტყვით სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაგრამ პრაქტიკულად, ტოტალიტარიზმის ელემენტებს ვატარებთ. კონსტიტუციაში გვაქვს პრინციპები, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია. არ შეიძლება, ტელევიზიები გადაუმოწმებლად მივიდნენ, ადამიანი სახით აჩვენონ და მას რაღაც დააბრალონ — თაღლითად გამოაცხადონ, როცა მათ დოკუმენტებში არ ჩაუხედავთ. დოკუმენტების თანახმად, არის ორგანიზაცია „დემოკრატიული კავშირი“, რომელმაც „ბერმუხასთან“ — მემორანდუმი გააფორმა თანამშრომლობაზე. „ბერმუხამ“ თავისი ვალდებულება შეასრულა, დაეხმარა ადამიანების გაწევრიანებაში, მისცა მათ ახსნა-განმარტება. იმ „დემოკრატიული კავშირის“ დაპირება შესრულდება თუ არა, ამაზე პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, მათ ხელმძღვანელობას აკისრია. როგორც პოლიტიკოსებს სჩვევიათ, ეს იყო დაპირება, რომ თუ განხორციელდებოდა პროექტი, ისინი მიიღებდნენ დახმარებას. პროექტის განხორციელება დაიწყო თუ არა, ამის თაობაზე ქალბატონმა ელენემ არაფერი იცის. განზრახვა იყო სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება. საწევრო (3 ლარი) ყველამ თავისი ნებით შეიტანა. იმ ორგანიზაციაში თუ ვინმემ ითაღლითა, აქ ელენე კახნიაშვილის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, რადგან ამ შემთხვევაში ის არის დაზარალებული. მას ხელფასი არ აუღია. ის ორი ადამიანი დააკავეს. ელენე კახნიაშვილს კი სრულიად დაუსაბუთებლად წაუყენეს ბრალი, ერთი დღეღამით ჩასვეს კიდეც. ის 75 წელს გადაცილებულია. მიუხედავად იმისა, რომ მას სასამართლოში ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ნოდარ ნათაძე და აკადემიკოსი, პარლამენტის საკონსტიტუციო საბჭოს წევრი პაატა კოღუაშვილი დაუდგნენ თავდებად,სასამართლომ მაინც 10 ათასი ლარის გადახდა შეუფარდა, რომელიც მას არ გააჩნია. გამოდის, რომ თუ ვერ გადაიხადა, მაშინ ბინა უნდა გაუყიდონ. მათ უნდათ, მაინცდამაინც თაღლითურ დაჯგუფებად წარმოაჩინონ. ქალბატონი ელენე ღრმადმორწმუნე ქალბატონია, ტყუილად ვერავის ვერაფერს დააბრალებს. დაზარალებული არავინაა. თაღლითობა არის სხვისი ქონების მითვისება. თუ საწევრო იმ ორგანიზაციიდან ვინმემ მიითვისა, მაშინ იმ ადამიანს უნდა მოჰკითხოთ, მაგრამ ეს საწევრო შენატანებია, რაც ხმარდება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს. დედაჩემისგან არც ერთი დაზარალებული არ არსებობს და ვერც იარსებებს.

სინამდვილეში, შეიძლება ყველაფერი სახალხო ფრონტის ოფისთან იყოს დაკავშირებული, რადგან იგი განთავსებულია ძალიან პრესტიჟულ ადგილზე, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქუჩა №7-ში. როგორც ირკვევა, შენობა გაიყიდა და ცდილობენ იქიდან სახალხო ფრონტი გამოასახლონ, რომელსაც დაკავებული ფართი ხელშეკრულებით 2017 წლამდე აქვს გადაცემული. ნოდარ ნათაძის თქმით, მათი გასახლების მცდელობა ერთხელ უკვე იყო. ერთი წლის წინ, დილით მოსულს, სახალხო ფრონტის ოფისი დარბეული დახვდა, ხოლო მისი კუთვნილი ნივთები (დიდი ოდენობით წიგნები, რკინის სეიფი, რკინის კიბე და სხვა) — იქიდან წაეღოთ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში იქ პოლიცია იდგა და მათ ოფისში არ უშვებდა. ზოგიერთი ნივთი და წიგნების ნაწილი დღემდე არ დაუბრუნებიათ.

## მამაჩემის გერლფრენდი — ახალი ქართული ფილმი

17 მარტს კინოთეატრებში ახალი ქართული ფილმი □მამაჩემის გერლფრენდი□ გამოჩნდება. ფილმის გადაღება აგვისტოში მიმდინარეობდა და 14 დღეში დასრულდა. რეჟისორი ნიკა ხომასურიძისთვის ეს სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმია. სცენარი ნიკა ავალიანს ეკუთვნის, რომელმაც რეჟისორთან ერთად ივნისში კასტინგი ჩაატარა და მსახიობები დაამტკიცა. ფილმში ვითარდება კრიმინალური ისტორია, რომლის მიხედვით 40 წლის ნანას ბანკიდან სესხად 100 000 დოლარი გამოაქვს სექს შოპის ბიზნესის დასაწყებად. სესხის იოლად აღების და შვილის ბანკში სამსახურის შოვნის სანაცვლოდ ის მზად არის საკრედიტო განყოფილების უფროსთან რომანი გააბას. ნანას ქმარს —□ ზაზას, ცოლის ქცევა არ მოსწონს და კერძო დეტექტივს —□ თამუნას დაიქირავებს, თუმცა დეტექტივი ნანაზე გაცილებით მომხიბვლელი აღმოჩნდება და ზაზას თავისი ცოლი უკვე აღარ აინტერესებს, თუმცა შურისძიების წყურვილი მაინც ამოძრავებს. დეტექტივი ამასობაში გაიგებს რომ ოჯახს ბანკიდან დიდი ფული გამოაქვს და ახლა უკვე მას აქვს საინტერესო გეგმა და ისტორიაც ვითარდებდა. საინტერესოა, თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს ქართული პროექტი.

**ათბ-ნიუსი**

## პატრიარქი ხანდახან ისეთ კომენტარებს აკეთებს, რომლებსაც მთავრობაში არასასიამოვნოდ მიიჩნევენ



პოლიტოლოგ გია ნოდიას შეფასებით, ისეთ მაღალ რეიტინგზე, როგორიც საქართველოს ეკლესიას აქვს, პოლიტიკოსებმა შეიძლება მხოლოდ იოცნებონ.

— ეკლესიის ავტორიტეტს საქართველოში ურყევად მიიჩნევენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მუდმივად აჩვენებს, რომ ეკლისიისადმი ნდობა 90%-ზე მეტია, ასეთ რეიტინგზე პოლიტიკოსებმა შეიძლება მხოლოდ იოცნებონ. პატრიარქის ილია მეორის, რომელიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას 1977 წლიდან უდგას სათავეში, პირადი პოპულარობა განსაკუთრებულად მაღალია. შედეგად პოლიტიკოსებისთვის ეკლესიის კრიტიკა ტაბუდ იქცა და რეალურად, ისინი რეგულარულად ეჯიბრებიან ერთმანეთს საკუთარი რელიგიურობისა და პატრიარქთან ახლო ურთიერთობების დემონსტრირებაში, — წერს გია ნოდია სტატიაში, რომელიც რადიო „თავისუფლებისთვის“ დაწერა.

ამასთან, განათლების ყოფილი მინისტრი აქვე იმასაც აცხადებს, რომ ეკლესია სულ უფრო მეტად ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკური როლის შესრულებას და ყურადღებას რიგი სასულიერო პირის მიერ, მათ შორის ზოგიერთ შემთხვევაში პატრიარქის მიერ გაკეთებულ ისეთ განცხადებებზეც ამახვილებს, რომლებსაც “მთავრობაში არასასიამოვნოდ“ მიიჩნევენ.

— თავის მხრივ ეკლესია სულ უფრო მეტად ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკური როლის შესრულებას. ეკლესიის ბევრი წარმომადგენელი „ლიბერალურ დასავლეთს“ მტრად განიხილავს, ასე რომ, ისინი, ცხადია, სწუხან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური ორიენტაციის გამო. ზოგიერთი სასულიერო პირი ღიად აქეზებს მთავრობის წინააღმდეგ თავმოყრას. პატრიარქი თავად უფრო ფრთხილი იყო, თუმცა ხანდახან ისეთ კომენტარებს აკეთებს, რომლებსაც მთავრობაში არასასიამოვნოდ მიიჩნევენ, — ნათქვამია სტატიაში.

პოლიტილოგის შეფასებითვე, პოლიტიკური ოპოზიცია ეკლესიაში პოტენციურ მოკავშირეს ხედავს. ეს აწუხებს მთავრობას, თუმცა ხელისუფალნი საჯაროდ თავს იკავებენ პროცესში საეკლესიო პირების ჩარევისგან და აგრძელებენ მართლამადიდებელი ეკლესიის სუბსიდირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ათბ-ნიუსი**

## მეცნიერები საგადასახადო წნეხზე საუბრობენ

ქართველი მეცნიერები საგადასახადო წნეხზე საუბრობენ. ამის შესახებ მეცნიერებმა გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებთან“ გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს. მეცნიერების ინფორმაციით, ქვეყანაში სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო ინვენტარის, მათ შორის რეაქტივის შემოტანაც კი იბეგრება, რაც საკმაოდ ძვირად უჯდება მეცნიერებას. მათივე თქმით, თანხა, რომელიც მეცნიერებაში იდება, თუ არ არის ის გრანტი, ესეც კი იბეგრება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა აუცილებელია, რაშიც საპარლამენტო ფრაქცია “ქრისტიან-დემოკრატებმა“ მათ დახმარება აღუთქვეს და ერთობლივი კანონპროექტის შემუშავების ინიციატივით გამოვიდნენ. „ქრისტიან-დემოკრატები“ იმედოვნებენ, რომ ამ ინიციატივას მთავრობისგან წინააღმდეგობა არ უნდა ჰქონდეს.

**ათბ-ნიუსი**

## ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიიდან ამოიღო

ტერორიზმთან ბრძოლის ისრაელის შტაბმა ისრაელის მოქალაქეებისთვის სახიფათო ქვეყნების სიიდან საქართველო ამოიღო . ამის შესახებ პორტალი “იზრუს“ იუწყება.ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭოში შემავალ შტაბში მიაჩნიათ, რომ საქართველოში ისრაელის მოქალაქეებისთვის საშიში ვითარება აღარ არის და სიიდან სწორედ ამიტომ ამოშალეს.

ჩამონათვალში კვლავ რჩებიან აზერბაიჯანი და სომხეთი. ისრაელის მოქალაქეებისთვის კვლავ სახიფათოდ მიიჩნევა ტაჯიკეთი და თურქმენეთი. ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა 11 თებერვალს განაცხადა, რომ “ჰესბოლას“ აქციების გამო ისრაელის მოქალაქეებისთვის სახიფათო იყო შემდეგი სახელმწიფოები □ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, თურქეთი, ვენესუელა, ეგვიპტე, კოტ-დივუარი, მალი და მავრიტანია. „ჰესბოლას“ დარტყმებს ისრაელი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერის □ იმად მუგნიეს ლიკვიდაციიდან სამი წლისთავის გამო ელოდა.

ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში ირანთან მჭიდრო კავშირის გამო შეიყვანა.

**ათბ-ნიუსი**

ირაკლი ლომოური

# მკვლელობა ოპერის თეატრში

*(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)*

დასაწყისი წინა ნომერში

— იმას დავუბარე, სადაც ვიყავი, სასტუმროს ტელეფონიც მივეცი) და მეუბნება: რუსო, უნდა მიშველო, ავღანეთში მიშვებენო! სასტიკი ომი იყო მაშინ ავღანეთში, გემახსოვრებათ, — ჩაიალაპარაკა და თვალი შეგვავლო.

თავი დავუქნიეთ. ქალმა განაგრძო:

— ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. გავგიჟდი ლამის! როგორ გიშველო-მეთქი?! 7 ათასი მანეთი მიშოვე სასწრაფოდ და საქმე ჩაეწყობაო! თურმე ჩვენმა ნაცნობმა ოფიცერმა გააფრთხილა ჩუმად. გადაყვანას გიპირებენ, მაგრამ შეიძლება ჩაეწყოსო. არადა, 7 ათასი დიდი ფული იყო მაშინ. მანქანა ღირდა! აბა, რას ვიშოვიდი მე, ღარიბ-ღატაკი?! და სწორედ, თითქოს ბედზე, მეორე დილით ადელაიდასთან შევდივარ ნომერში, თმა უნდა მოვუწესრიგო და რასა ვხედავ, ხელზე სქელი, ძველებური ოქროს სამაჯური უკეთია, წვრილ-წვრილი ალმასებით მოჭედილი... ლამაზი და ძალიან-ძალიან ძვირფასი...

— რაიკომის მდივანმა უძღვნა, ალბათ, არა? — ჰკითხა ელისმა.

— ჰო, რა თქმა უნდა. აბა, სხვა ვინ? — ჩაიქირქილა ქალმა, — გაგიჟებული იყო კაცი, აცუნდრუკებული. ადელაიდა აგიჟებდა და იმიტომ. ისე გაუღიმებდა, ისეთ რაღაცას ეტყოდა, ისე შეხედავდა, რომ იმხელა კაცი ლამისაა დნებოდა. გოშიას ემსგავსებოდა, პატრონს თვალებში რო შესციცინებს და აღარ იცის, რითი ასიამოვნოს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სულმა წამძლია. ვიცოდი, ადელაიდა სადაც ინახავდა სამკაულებს. სამი ოქროს ბეჭედი ჰქონდა, ერთი — ბრილიანტიანი, კიდევ, ძეწკვი და საყურეები... თვალი მოვკარი ერთხელ, ბალიშისპირში როგორ მალავდა ზარდახშას... ცელოფანის პარკში ედო მომცრო ზარდახშა...

— და რომ გეთხოვათ ფული მასესხეო, არ გასესხებდათ? ვკითხე უცებ.

— ვინ, ადელაიდა მასესხებდა? საკუთარ,.. — რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, შერცხვასავით, მერე თითქოსდა მობოდიშებით ჩაილაპარაკა, — იცით რა, მიცვალებულზე მხოლოდ კარგს ამბობენ ან არაფერს, ჰოდა, მეც არაფერს ვიტყვი...

— თუ შეიძლება განაგრძეთ, ქალბატონო რუსუდან, გულახდილად, — ელისმა.

— ბევრი არც არაფერია გასაგრძელებელი. თმა მოვუწესრიგე და როცა ნომრიდან უნდა გავსულიყავით, კინოსტუდიის ავტობუსი გველოდებოდა, ადელაიდა ტუალეტში შევიდა, მე კიდევ, ბალიშიდან ზარდახშიანი ცელოფანი ამოვაცურე და ჩანთაში ჩავიდე... სანამ ქუჩაში გავიდოდი, ჩემს ნომერში შევირბინე, მაგრამ უცებ მოვისაზრე, იქ დამალვა არ ღირდა... სასწრაფოდ ვახოს ნომერში შევედი, — იმ ბიჭს, ოპერატორის ასისტენტს, ვახო ერქვა, — მეზობელ, გვერდითა ნომერში ცხოვრობდა... ვეუბნები, მზადა ხარ-მეთქი? უკვე დროა, გავდივართ! ჰო, ეხლავეო. ცოტა კი გაუკვირდა, ოთახში რომ შევუვარდი უეცრად. მომწყურდა-მეთქი, ჭიქას ხელი დავავლე და აბაზანაში შევედი, კარი ჩავკეტე. ტუალეტის ბაჩოკს„ ხუფი ავხადე და ცელოფანი შიგ ჩავუშვი. კინოში მქონდა ნანახი ეგეთი რაღაც. ერთი წამი დამჭირდა ამ ყველაფრისთვის... საღამოს, როცა გადაღებიდან დავბრუნდით, ადელაიდამ აღმოაჩინა, ზარდახშა გამქრალა. ატეხა პანიკა, ისტერიკა. მილიციას კი არ დაურეკა, პირდაპირ რაიკომის მდივანს. იმან კიდევ, პროკურორი და გამომძიებლები დაგვაყენა თავზე. ადელაიდამ მოითხოვა ყველა გაეჩხრიკათ, ვინც კი მის ნომერში იყო იმ დღეს შესული. მეც გამჩხრიკეს, ცხადია, ჩემი ბარგიც და ნომერიც. სასტუმროს დამლაგებლებიც და კიდევ რამდენიმე კაცი, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. უკვე მიხაროდა გულში, ძმა გადავარჩინე-მეთქი, მაგრამ მეორე დილით კარებზე კაკუნი მესმის. გავედი. ვახო დგას და ხელში ის ცელოფანი არ უჭირავს?! გამაცია. რუსო, ეს ჩემს ტუალეტში საიდან მოხვდა, ხომ არ იციო? მეკითხება, რატომღაც გაფითრებული. არამეთქი, ვეუბნები. ადელაიდას სამკაულებია, უნდა წავუღოო. შენც წამოდიო. თურმე შესულა დილით ტუალეტში, ის წყეული ზარდახშიანი პარკი კიდევ გაჭედილა ბაჩოკში„ წყალი აღარ ჩადიოდა. ახადა ხუფი და რასა ხედავს, ცელოფანია. ამოიღო, გახსნა და ყველაფერს მიხვდა. გავყევი, დახვრეტაზე რო გადიან, ისე. გზად მხოლოდ ის მოვახერხე, ვეუბნები, იქნებ უბრალოდ მივუგდოთ ნომერში, ალბათ, დამლაგებელმა მოპარა და შენთან დამალა-მეთქი. გაჩერდა, თვალი თვალში გამიყარა და მეუბნეება, დამლაგებელმა თუ შენო?! და სწორედ იმ წამს, ბედზე, ადელაიდას ნომრის კარი გაიღო, თვითონ გამობრძანდა, პარკი დაინახა, ხელი სტაცა და ორივენი ოთახში შეგვრეკა. ეს თქვენთან საიდანო?! ვახომაც ყველაფერი დაფქვა... წესიერი ბიჭი იყო, საწყალი... მოკლედ, გამოვტყდი. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. ტირილით ჩავუვარდი მუხლებში ადელაიდას, ძმის გადარჩენა მინდოდა-მეთქი, ვუხსნი. მიყურა, მიყურა, ჩაიცინა და მეუბნება, აიღე ქაღალდი და პასტა, თუ არ გინდა მილიციას დავუძახოო. ავიღე. დაწერეო. და მიკარნახა ხელწერილი, სადაც ქურდობას ვაღიარებდი. მოაწერეო. მოვაწერე. ეს ხელწერილი მე მექნება მანამ, სანამ იმის გააკეთებ, რასაც გიბრძანებო. მთელი ცხოვრებაო. ჩემი მონა-მორჩილი იქნებიო. თუ არა და პირდაპირ მილიციაში წავალო. შენ კიდევო, ვახოს მიუბრუნდა, თუ არ გინდა მილიციაში განვაცხადო, სად აღმოჩნდა ჩემი სამკაულები, ამაღამ ჩემთან დარჩებიო. საწყალმა ბიჭმა ყურებს არ დაუჯერა. გაშტერდა. მე კიდევ, ყველაფერი ჩამწყდა თითქოს შიგნით. იცოდა ადელაიდამ, რომ მომწონდა... ვახო. — რუსიამ ახალი სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, ჩაილაპარაკა, — რა დაწყევლილ ვარსკვლავზე გავჩნდი...

— მერე? მერე რა მოხდა? — ეკითხება ელისაგატა.

— მერე? მერე მთელი ცხოვრება ვემსახურე.

— თქვენ ძმას რა დაემართა?

— ჩემს ძმას? ავღანეთში გაუშვეს და იქ დაიღუპა.

— ოო, — თქვა ელისმა, თვალები მოხუჭა წამით, ყურის ბიბილო მოისრისა და განაგრძო,

— ესე იგი, ქალბატონო რუსუდან, თქვენ გეშინიათ, რომ ხელწერილი გამოჩნდება და ადელაიდას სიკვდილს თქვენ დაგაბრალებენ. სად ან ვისთანაა ხელწერილი შენახული, ცხადია, არ იცით.

— არა... აბა, საიდან? წარმოდგენა არა მაქვს.

— და მე მთხოვთ დახმარებას, რომ დაგიცვათ. დაცვის საუკეთესო საშუალება კი ამ შემთხვევაში დანაშაულის გახსნაა. ასე არ არის, გედი?

თავი დავუქნიე.

— მოდი, დავფიქრდეთ, რა ვერსიები შეიძლება არსებობდეს, — ჩაილაპარაკა ელისაგატამ, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა დაიჭირა და ბოლოს ამბობს, — დავიწყოთ ყველაზე მარტივი ვერსით: დავუშვათ, ადელაიდამ თავი მოიკლა.

— ყველაზე მარტივი რატოა? — ვეკითხები.

— იმიტომ, გედი, რომ შხამიანი გველის მკვლელობის იარაღად გამოყენება მეტისმეტად რთულია და არასაიმედო. არარეალური.

— კი მაგრამ, კონან დოილს ხომ აქვს მოთხრობა, სადაც სწორედ გველია იარაღი?.. მმ,.. მგონი, „ჭრელი ლენტა„ ჰქვია.

— მაღალი ხარ, მაგრამ ჯერ ერთი, ეგ მხატვრული ლიტერატურაა და არა რეალური ცხოვრება. მეორეც, გაიხსენე, იქ ამბავი კერძო სახლში ხდება... აქ კიდევ, თეატრია, უამრავი ხალხი, მსახიობები, ტექნიკური პერსონალი... ჯერ ცოცხალი გიურზიას შოვნა რა ძნელია, წარმოიდგენე, მერე, ამხელა გველის კულისებში შეუმჩნევლად შეტანა?

— მაგრამ მოტივი? ან თუნდაც ჰქონოდა ადელაიდას თვითმკვლელობის მოტივი, რაში დასჭირდებოდა ასეთი ექსტრავაგანტური ხერხით თავის მოკვლა?

— რაც ადელაიდაზე ვიცოდი და რაც ახლა გავიგე, მარწმუნებს, უზომო ამბიციები ჰქონდა. საკუთარ თავზე გახლდათ უზომოდ შეყვარებული და თან ელემენტარულად, პოზიორი იყო... სულ პუბლიკაზე თამაშობდა, ცხოვრებაშიც და სცენაზეც... რაღაც განსაკუთრებულს თამაშობდა. ფერიას. პრინცესას. კლეოპატრას. თან ცხოვრება უყვარდა. ნამდვილი ჰედონისტი იქნებოდა. და, ალბათ, ნიმფომანიც კი. ყველაფერში, ანუ სიამოვნების მიღებაში, მაქსიმალისტი ბრძანდებოდა და, გარკვეული აზრით, ავანტიურისტიც... მტაცებელი ავანტიურისტი. მომენტის ასე გამოყენება, — ხელწერილი დააწერინო ადამიანს და თანაც კიდევ იმით მოსპო და გაანდგურო, რომ კაცი, ვიზეც შეყვარებულია, მის თვალწინ ლოგინში ჩაიწვინო, — ცოტას თუ შეუძლია... ეგეთისგან სულაც არ მიკვირს, ნამდვილ კლეოპატრასავით თუკი მოინდომებდა იმქვეყნად გამგზავრებას. ოღონდ, ცხადია, ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში იზამდა, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, უკურნებელი სენი სჭირს. ეგეთ ტიპებს ცხოვრებაში უნდათ ან ყველაფერი, ან არაფერი. ქიმიოთერაპიას, ლოგინად ჩავარდნას და გამელოტებას ურჩევნიათ სიკვდილითაც გაიბრწყინონ. ხალხი აალაპარაკონ. ეფექტის მოხდენა მათთვის ყველაფერია. ყველაზე დიდი სიამოვნება.

— ხომ არ იცით შემთხვევით, — რუსუდან რუსიას ვეკითხები, — ადელაიდას რაიმე სერიოზული ავადმყოფობა ხომ არ ჰქონდა? ვთქვათ, კიბო?

— ჰქონდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ძალიან კი ეშინოდა, არ დამემართოსო. სულ გამოკვლევებს იტარებდა, ექიმებთან დარბოდა... გამახსენდა, ბლოკნოტში ადელაიდას ექიმის ტელეფონი მიწერია, — ხელჩანთა გახსნა, ბლოკნოტი ამოიღო, — პროფესორი მამასახლისი. შეიძლება დავურეკოთ და ვკითხოთ...

— ძალიან კარგი. აბა, მიკარნახეთ. — უთხრა ელისაგატამ.

ქალმა ბლოკნოტი გადაშალა და უკარნახა. ელისმა მობილურზე ნომერი აკრიფა და ამბობს:

— ალო, პროფესორი მამასახლისი ბრძანდებით? გამარჯობა, მე ელისაბედ ჩერქეზიშვილი ვარ, კერძო დეტექტივი. თქვენი ტელეფინი რუსუდან რუსიამ მომცა, ადელაიდა პატაშურის სტილისტმა. დიახ, ადელაიდას ტრაგიკული სიკვდილის თაობაზე.... დიახ... მაინტერესებს, ავად ხომ არ იყო?.. იყო?... მართლა?... სერიოზულად?.. ბოლო სტადიაში?... როდის დაადგინეთ?.. აჰა... ანალიზი?.. როდის?.. გასაგებია... აჰა... გასაგებია... დიახ... ძალიან დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

ელისაგატამ მობილური გათიშა, გამოგვხედა, ამბობს:

— ეჭვი დადასტურდა, ბატონებო. ადელაიდას კიბო ჰქონია ბოლო სტადიაში. არაფერი აღარ უშველიდაო. და ეს თვითონაც იცოდაო. დანამდვილებითო. ერთი კვირის წინ გაუკეთებია ანალიზი, თურმე სახლში გამოიძახა და ისე გაიკეთა. ეგეთი მომსამსახურებაც არსებობსო.

—კი, მახსოვს, მეც იქ ვიყავი იმ დროს. — ჩაილაპარაკა რუსუდან რუსიამ, უცებ ცხვირსახოცი ამოიღო ხელჩანთიდან და თვალის უპეზე მიიდო.

— ესე იგი, ყველაფერი ცხადი ყოფილა... — ჩავიბურტყუნე უკმაყოფილოდ.

მართალი გითხრათ, მაგრად გამიტყდა... ანუ, უფრო კულტურულად რომ ვთქვათ, სერიოზული იმედგაცრუება ვიგრძენი... ყველაფერი ასე უცებ დასრულდა?! ასე მარტივად?! ბედი არ გინდა?! მე კიდევ, ჩახლართულ გამოძიებას ველოდდი... ოპერის კულისებსა თუ კულუარულ ინტრიგებში ვაპირებდი ჩაღრმავებას, როგორც სპელეოლოგი მიწისქვეშა გამოქვაბულებსა თუ სიფონებში...

ელისმა შემატყო, ცოტა არ იყოს, გუნება რომ წამიხდა. ამბობს:

— ოკამის სამართებელი„ გაგიგია, გედი?

— ოკამი სოფელია ქართლში, არა? — უცებ ჩემს მაგივრად მიუგო რუსიამ. აშკარად გამოცოცხლდა ქალი.

— სოფელი არის, მგონი, მაგრამ მე სხვა რაღაცს ვგულისხმობ... — უთხრა ელისმა.

— აა, ფილოსოფოს ოკამს გულისხმობ, შეფ?

— დიახ, გედი... ოკამი მეთოთხმეტე საუკუნის ინგლისელი მოაზროვნე იყო, — ჩვენი სტუმრის გასაგონად3ამბობს, — სხვათა შორის, ფრანცისკანელი ბერი, რომელმაც ჩამოაყალიბა ფილოსოფიური პრინციპი: ყველაზე მარტივი ახსნა ყველაზე სწორია. ახსნის რამდენიმე ვარიანტის შორის. რთულებს სამართებელი ჩამოჰკვეთს თითქოს.

— ფილოსოფიაში შეიძლება ეგრეა, მაგრამ ცხოვრებაშიც? — ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვიკითხე.

ელისაგატამ არ მიპასუხა, მხოლოდ გაიღიმა, და ხელები გაშალა. ეტყობა იგულისხმა, — რას იზამ, თუკი ცხოვრებაშიც ეგრეაო„. ქალბატონი რუსუდანი ამ ჩვენს საუბარს ლამისაა უკვე გაბადრული უსმენდა. სიხარულს თითქმის ვერ იკავებდა. ელისი მიუბრუნდა და ეუბნება:

— ასე რომ, ქალბატონო რუსუდან, საქმე დახურულად უნდა ჩაითვალოს. თქვენზე არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს. მე ამას, სადაც საჭიროა, იქ განვაცხადებ.

— ულრმესი მადლობა, ქალბატონო ელისაბედ! ულრმესი მადლობა!.. თქვენ მე ნამდვილად გადამარჩინეთ! რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

— რამდენიც გნებავთ.

გამიკვირდა. ელისი ჰონორარს ყოველთვის ზუსტად და კონკრეტულად ეუბნება ხოლმე თავის კლიენტებს (და არცთუ მცირეს, სხვათა შორის).

— არა, მაინც მითხარით.

— ხომ ხედავთ, რა მარტივი საქმე იყო. რამდენიც გნებავთ.

ქალმა ხელჩანთა გახსნა, მაგრამ ელისმა უცებ გააჩერა:

— ნუ ჩქარობთ, ქალბატონო რუსუდან, მოდი, როცა საქმე ოფიციალურად დაიხურება, მაშინ გადამიხადეთ. ჯერ ცოტა ადრეა. უბრალოდ თქვენი ტელეფონი და მისამართი დამიწერეთ. დასაზუსტებელი თუ იქნება რამე, დაგირეკავთ.

რუსუდან რუსიამ ულაპარაკოდ დაუწერა ბარათზე, რაც სთხოვა, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და წამოდგა. გასასვლელამდე მივაცილე, პალტოს ჩაცმაში შევეშველე, კარი გავუღე, დავემშვიდობე და კაბინეტში შევბრუნდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# „ტორპედოს“ მონატრებული გამარჯვება

**ტორპედო — კოლხეთი**
**1:0**

*ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1.500 მაყურებელი*

**1:0 მეგრელაძე (23)**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, მაჭავარიანი, ს.თოდუა, დილმელაშვილი, მეგრელაძე, ქებაძე (გიგაური, 56), დათუნაიშვილი, გოცირიძე (საბანაძე, 70), გურული, დოლიძე (ბაკურაძე, 61), სეთურიძე.

**კოლხეთი:** ძაგანია, მახვილაძე, ცხვიტარია, ინწკირველი, მეგრელიშვილი, გვალია, სიჭინავა (გულუა, 75), კვერენჩხილაძე, მდივნიშვილი (მოისწრაფიშვილი, 75), გავაშელიშვილი, გოგონაია (გელაჭეიშვილი, 87)

როგორც იქნა მოიგო „ტორპედომ“, თუმცა ეს გამარჯვება იოლად ნამდვილად არ მოსულა და გულშემატკივრებიც გვარიანად ანერვიულეს. რიონისპირული დერბის ჩატარება თავიდან საეჭვო ჩანდა, რადგან ქუთაისში ძლიერი ქარი ქროდა და იმდენი მოახერხა, რომ ახალგარემონტებულ სტადიონს სახურავი ალაგ-ალაგ ააძრო კიდეც და სიცივეში მისულ მაყურებელს დასავლეთ ტრიბუნაზე დაჯდომის უფლება არ მისცეს.

ფოთელები მასპინძელთათვის ტრადიციულად უხერხულ მეტოქედ ითვლებიან და ეს გაჭირვებაში და ფინანსურად რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაში მყოფებმაც დაადასტურეს.

მატჩი საშუალო ტემპში დაიწყო. პირველმა ნახევარმა უფერულად ჩაიარა. მოწინააღმდეგესთან შედარებით, უფრო ინერტულები ჩანდნენ მასპინძლები, რაც ძლიერ გასაკვირი იყო, რადგან „ტორპედოს“ უნდა დაემტკიცებია, რომ წინა ტურში „ბაიასთან“ განცდილი მარცხი მხოლოდ შემთხვევითობა იყო.

ტორპედოელებს ფოთელებთან ფავორიტის სტატუსი კი ჰქონდათ, მაგრამ თამაშის



ხარისხის მიხედვით, ეს ნაღდად არ ჩანდა. პირიქით, ამ პერიოდში უფრო აქტიურად მეტოქე გამოიყურებოდა, რომელთაც მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, დებიუტშივე შეეძლოთ დაწინაურება.

პირველივე წუთზე, ლექსო ინწკირველის ჩაწოდების შემდეგ, გოგონაიამ დაარტყა თავური, თუმცა, მისი ეს მცდელობა ომარ მიგინეიშვილმა გაანეიტრალა. ცოტა ხანში, ისევ გოგონაია დაემუქრა მასპინძელთა კარს, მაგრამ თავური ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. მე-7 წუთზე დათა სიჭინავას ჩაწოდებულ კუთხურზე კვლავ შეიქმნა ხიფათი ტორპედოელთა კართან, მაგრამ გოლი არც ამჯერად გავიდა. მე-17 წუთზე, თავის გამოჩენის შანსი უკვე გიგა კვერენჩხილაძეს მიეცა, მაგრამ პირველად რომ მოუქნია, ბურთს ფეხი ააცილა, ხოლო მეორედ დარტყმა აღარ გამოუვიდა, არადა, ხელსაყრელი პოზიცია კი ჰქონდა. ორიოდ წუთში კიდევ ჰქონდათ ზღვისპირელებს დაწინაურების შანსი, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში ამჯერადაც არაზუსტნი გამოდგნენ.

მატჩის ასეთი მიმდინარეობის ფონზე, ერთგვარად ალოგიკური ჩანდა ქუთაისლების მიერ გატანილი გოლი. გია მეგრელაძემ თავისივე წაქცევისათვის დანიშნული ჯარიმა გოლად გარდასახა და „ტორპედოს“ მაისურით გოლი რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ გაიტანა. გამოცდილ ფორვარდს დარტყმა დიდოსტატური გამოუვიდა. დაახლოებით 22 მეტრიდან, გიამ მოჭრილი დარტყმით ძაგანიას შანსი არ დაუტოვა — 1:0.

გოლმა ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდის თამაშზე აშკარად უარყოფითად ითამაშა. ისე მოხდა, რომ გუნდები საოცრად მოდუნდნენ და საინტერესოც არაფერი მომხდარა.

მე-2 ტაიმის განახლებისთანავე ფოთელთა შემტევმა მდივნიშვილმა სუსტად დაარ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# დევიდ ბლატი:
# „კირილენკოსთვის ნაკრების კარი მუდამ ღიაა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თის კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომას დავესწრები, სადაც ვაპირებ, სიტყვით გამოვიდე და დავადასტურო ჩემი ნაკრებში დარჩენა. ამით ჩვენი კონტრაქტი ჩვეულებრივ გაგრძელდება. ის არც გაწყვეტილა.

***— როგორც ჩანს, თქვენ საერთო ენა გამონახეთ რუსეთის კალათბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტ ალექსანდრ კრასნენკოვთან.***

— თავიდანვე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კრასნენკოვი სერიოზული, გამგებიანი ადამიანია. ეს აზრი მასთან ყოველი საუბრის შემდეგ მიძლიერდებოდა. პრინციპში, მე არასდროს მქონია რუსეთის კალათბურთის ფედერაციასთან პრობლემები. ყველა პირობა სრულდებოდა. საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებაში მნიშვნელოვანი პრობლემები არ იქმნებოდა. რაც შეეხება კრასნენკოვს, ახლა ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ მისი გადადგმული ნაბიჯები რუსული კალათბურთის განვითარებისთვის აუცილებელია.

***— თელ ავივის „მაკაბი“ არ ეწინააღმდეგება რუსეთის ნაკრებში თქვენს მუშაობას?***

— „მაკაბის“ ხელმძღვანელებთან ყველაფერი შეთანხმებული მაქვს და პრობლემას არ მიქმნიან.

***— როდის შეუდგებით ევროპის ჩემპიონატისთვის რუსეთის ნაკრების მომზადებას?***

— „მაკაბისთვის“ სეზონი მაისის ბოლოს მთავრდება, ხოლო ევროპის ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს იწყება. ასე რომ, მთელი 3 თვე გვაქვს მოსამზადებლად, რაც სრულიად საკმარისია, რათა სათამაშო კონცეფცია შევიმუშავოთ. მით უფრო, რუსეთის ნაკრებს გარკვეულწილად უკვე ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი სათამაშო სტილი.

***— იმ ხისტ დაცვაზე ამბობთ, რომელმაც რუსეთის ნაკრებს 2007 წლის ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა, ხოლო ახლა ევროლიგაში „მაკაბისთვის“ გამარჯვებები მოაქვს?***

— სიკეთისგან სიკეთეს არ ეძებენ. ასე იცით ხომ რუსებმა თქმა?! ცხადია, მხოლოდ დაცვაზე არ გავაკეთებთ აქცენტს. ვარჯიშები მრავალმხრივი იქნება და მათი რაობა, უპირველესად, თავად მოთამაშეებსა და მათ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული. ისე კი, მივიჩნევ, რომ ნებისმიერი გუნდისთვის დაცვა წარმატების საწინდარია.

***— უკვე შეარჩიეთ ის მოსამზადებელი ტურნირები, რომლებშიც რუსეთის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას?***

— რამდენიმე ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. მაგალითად, 22-24 აგვისტოს ისრაელში ვითამაშებთ, სადაც მასპინძლებთან ერთად, ჩვენი მეტოქე პოლონეთის ნაკრები იქნება, ხოლო მეოთხე მონაწილის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

***— ტრადიციული კითხვა — კირილენკო ჩამოვა?***

— ანდრეისთვის ნაკრების კარი მუდამ ღიაა. ის შესანიშნავი მოთამაშე და ნბას დონის ვარსკვლავია. ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა კირილენკოს გუნდში ყოლას. იმედი მაქვს, ამჯერად, ის ნაკრებში ჩამოვა (კირილენკომ 2009 წლის ევროპის და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები გამოტოვა).

***— რუსეთს კენჭისყრამ აშკარად გაუმართლა. ეცდებით თუ არა, რომ მომდევნო ეტაპზე ჯგუფში ერთ-ერთი მოწინავე ადგილიდან გახვიდეთ?***

— ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან არ ვიცით, რეალურად როგორ შემადგენლობას მოვუყრით თავს. თუკი ყველა, ან თითქმის ყველა ის მოთამაშე ჩამოვა, რომელსაც ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მოიწვევს, მაშინ სხვა საქმეა. ასეთ შემთხვევაში, მე შემიძლია იმის გარანტია მოგცეთ, რომ რუსეთის ნაკრები იქნება ძლიერი გუნდი და მხოლოდ უმაღლესი შედეგებისთვის იბრძოლებს.

***— ამაში ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას გულისხმობთ?***

— ვფიქრობ, მოვლენათა ჩვენდა სასარგებლოდ განვითარების შემთხვევაში, ამ მიზნის მიღწევა სავსებით რეალურია.

***— გეგმავთ თუ არა რუსეთის ნაკრებში ნატურალიზებული მოთამაშეების მიწვევას?***

— ვერ გეტყვით. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნატურალიზებული მოთამაშეების გარეშე გავედით ფონს. შესაძლოა, ლიტვაშიც ასე მოხდეს, თუმცა ჯერ მხოლოდ თებერვალია, წინ დიდი დროა და გადაწყვეტილებასაც მოგვიანებით მივიღებთ.

***— აპირებთ თუ არა ნაკრებში ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეების მიწვევას?***

— ნაკრების მწვრთნელთა შტაბი გულისყურით აკვირდება ყველა პერსპექტიულ მოთამაშეს და ასე გაგრძელდება მომავალშიც. კონკრეტული გვარების დასახელებისთვის ჯერ მზად არ ვარ. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ შემადგენლობა მხოლოდ პროფესიონალურ საფუძველზე შეირჩევა. თითოეული კანდიდატის პოტენციალს გავითვალისწინებთ. ასე ხდებოდა აქამდეც.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ლივერპული ... 3:1
სიტი-ფულემი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 17 | 9 | 1 | 61:25 | 60 |
| 2.არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3.სიტი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:25 | 50 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| 7.ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39:38 | 37 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | 37 |
| 9.ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:39 | 36 |
| 104.ევერტონი | 28 | 7 | 12 | 8 | 35:36 | 33 |
| 11.სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31:34 | 33 |
| 12.ას. ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:47 | 33 |
| 13.ფულემი | 28 | 6 | 14 | 8 | 29:29 | 32 |
| 14.ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35:46 | 32 |
| 15.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 17.ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 18.ვესტ ჰემი | 28 | 6 | 10 | 12 | 33:49 | 28 |
| 19.ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 20.უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:46 | 27 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

**ფინალი**

არსენალი-ბირმინგემი ... 1:2

**იტალია. სერია ა**

კატანია-ჯენოა ... 3:1
ბარი-ფიორენტინა ... 1:1
ბრეშა-ლეჩე ... 2:2
კალიარი-ლაციო ... 1:0
პალერმო-უდინეზე ... 0:7
რომა-პარმა ... 2:2
ჩეზენა-კიევო ... 1:0
სამპდორია-ინტერი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46:20 | 55 |
| 2.ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49:29 | 53 |
| 3.ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41:22 | 52 |
| 4.ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33:23 | 48 |
| 5.უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49:30 | 47 |
| 6.რომა | 27 | 12 | 7 | 8 | 41:38 | 43 |
| 7.იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41:34 | 41 |
| 8.პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44:43 | 40 |
| 9.კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33:28 | 38 |
| 10.ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25:27 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29:34 | 35 |
| 12.ფიორენტ. | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| 13.კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28:30 | 31 |
| 14.სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23:29 | 31 |
| 15.კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 25:35 | 29 |
| 16.პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27:38 | 28 |
| 17.ლეჩე | 27 | 7 | 7 | 13 | 30:48 | 28 |
| 18.ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20:36 | 25 |
| 19.ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22:35 | 24 |
| 20.ბარი | 27 | 3 | 7 | 17 | 15:41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ოსასუნა ... 2:1
ერკულესი-ხეტაფე ... 0:0
რასინგი-ვილიარეალი ... 2:1
ბილბაო-ვალენსია ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 76:13 | 68 |
| 2.რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55:19 | 61 |
| 3.ვალენსია | 25 | 15 | 6 | 4 | 40:26 | 51 |
| 4.ვილიარ. | 25 | 14 | 5 | 6 | 44:26 | 47 |
| 5.ესპანიოლი | 25 | 13 | 1 | 11 | 34:36 | 40 |
| 6.ბილბაო | 25 | 12 | 2 | 11 | 39:36 | 38 |
| 7.სევილია | 25 | 10 | 5 | 10 | 38:40 | 35 |
| 8.ატლეტიკო | 25 | 10 | 4 | 11 | 35:33 | 34 |
| 9.სოსიედ. | 25 | 11 | 1 | 13 | 36:41 | 34 |
| 10.ხეტაფე | 25 | 9 | 5 | 11 | 35:38 | 32 |
| 11.მალიორკა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:34 | 31 |
| 12.რასინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:35 | 29 |
| 13.ლევანტე | 25 | 8 | 3 | 14 | 26:37 | 27 |
| 14.დეპორტ. | 25 | 6 | 9 | 10 | 21:35 | 27 |
| 15.ერკულესი | 25 | 7 | 5 | 13 | 24:38 | 26 |
| 16.ოსასუნა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:32 | 25 |
| 17.ხიხონი | 25 | 5 | 10 | 10 | 23:31 | 25 |
| 18.სარაგოსა | 25 | 5 | 9 | 11 | 22:37 | 24 |
| 19.ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20.მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-რაიო ... 4:1
ბეტისი-ალბასეტე ... 2:0

**გერმანია. 1 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-შტუტგარტი ... 0:2
ვერდერი-ლევერკუზენი ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 24 | 18 | 4 | 2 | 52:14 | 58 |
| 2.ლევერკუზ. | 24 | 13 | 7 | 4 | 50:34 | 46 |
| 3.ჰანოვერი | 24 | 14 | 2 | 8 | 34:31 | 44 |
| 4.ბაიერნი | 24 | 12 | 6 | 6 | 50:30 | 42 |
| 5.მაინცი | 24 | 13 | 1 | 10 | 37:30 | 40 |
| 6.ჰამბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 35:32 | 37 |
| 7.ფრაიბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:31 | 37 |
| 8.ნიურნბერ. | 24 | 10 | 6 | 8 | 34:32 | 36 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 9 | 7 | 41:35 | 33 |
| 10.შალკე | 24 | 8 | 6 | 10 | 29:29 | 30 |
| 11.კიოლნი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:42 | 29 |
| 12.ზ.პაული | 24 | 8 | 4 | 12 | 27:38 | 28 |
| 13.აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 24:34 | 27 |
| 14.ვოლფსბ. | 24 | 6 | 8 | 10 | 29:34 | 26 |
| 15.ვერდერი | 24 | 6 | 7 | 11 | 30:50 | 25 |
| 16.კაიზერი | 24 | 6 | 6 | 12 | 33:42 | 24 |
| 17.შტუტგარ. | 24 | 6 | 4 | 14 | 42:47 | 22 |
| 18.გლადბახი | 24 | 5 | 4 | 15 | 34:59 | 19 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ბოხუმი ... 1:1
კარლსრუე-ინგოლშტადი ... 1:4
ფორტუნა-ოსნაბრიუკი ... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანსი-მარსელი ... 1:2
პსჟ-ტულუზა ... 2:1
ლილი-ლიონი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რენი | 25 | 13 | 7 | 5 | 30:18 | 46 |
| 2.ლილი | 25 | 12 | 10 | 3 | 43:24 | 46 |
| 3.მარსელი | 25 | 12 | 9 | 4 | 36:21 | 45 |
| 4.ლიონი | 25 | 11 | 9 | 5 | 39:25 | 42 |
| 5.პსჟ | 25 | 12 | 8 | 5 | 39:25 | 44 |
| 6.მონპელიე | 25 | 10 | 8 | 7 | 21:23 | 38 |
| 7.სტ.ეტიენი | 25 | 9 | 8 | 8 | 33:32 | 35 |
| 8.ლორიენი | 25 | 10 | 5 | 10 | 32:31 | 35 |
| 9.ბრესტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26:25 | 35 |
| 10.ბორდო | 25 | 8 | 10 | 7 | 32:30 | 34 |
| 11.ტულუზა | 25 | 10 | 3 | 12 | 27:28 | 33 |
| 12.სოშო | 25 | 9 | 5 | 11 | 39:31 | 32 |
| 13.ვალანს. | 25 | 7 | 10 | 8 | 30:27 | 31 |
| 14.კაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| 15.ნიცა | 25 | 7 | 8 | 10 | 17:27 | 29 |
| 16.ნანსი | 25 | 8 | 4 | 12 | 27:41 | 28 |
| 17.ოსერი | 25 | 4 | 14 | 7 | 29:33 | 26 |
| 18.მონაკო | 25 | 4 | 13 | 8 | 25:28 | 25 |
| 19.ლანსი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:44 | 24 |
| 20.არლე | 25 | 1 | 8 | 16 | 13:45 | 11 |

**ჰოლანდია. ეროვდივიზიონი**

ალკმაარი-ტვენტე ... 2:1
პსვ-აიაქსი ... 0:0
ფეიენოორდი-გრონინგენი ... 5:1
ნაიმეგენი-უტრეხტი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 25 | 16 | 6 | 3 | 66:22 | 54 |
| 2.ტვენტე | 25 | 15 | 6 | 4 | 48:27 | 51 |
| 3.აიაქსი | 25 | 14 | 7 | 4 | 47:22 | 49 |
| 4.გრონინგენი | 25 | 13 | 5 | 7 | 52:38 | 44 |
| 5.ალკმაარი | 25 | 12 | 7 | 6 | 38:28 | 43 |
| 6.დენ ჰააგი | 25 | 12 | 6 | 7 | 47:37 | 42 |
| 7.როდა | 25 | 10 | 10 | 5 | 44:34 | 40 |
| 8.უტრეხტი | 25 | 10 | 7 | 8 | 41:33 | 37 |
| 9.ჰერენვენი | 25 | 9 | 7 | 9 | 47:39 | 34 |
| 10.ბრედა | 25 | 10 | 4 | 11 | 35:44 | 33 |
| 11.ნაიმეგენი | 25 | 7 | 11 | 7 | 40:40 | 32 |
| 12.ერაკლესი | 25 | 7 | 7 | 11 | 40:44 | 28 |
| 13.ფეიენოორ. | 25 | 7 | 7 | 11 | 34:43 | 28 |
| 14.გრააფსხაპი | 25 | 6 | 9 | 10 | 24:43 | 27 |
| 15.ვიტესი | 25 | 6 | 7 | 12 | 30:44 | 25 |
| 16.ექსელსი. | 25 | 6 | 4 | 15 | 29:48 | 22 |
| 17.ვენლო | 25 | 5 | 1 | 19 | 23:55 | 16 |
| 18.ტილბურგი | 25 | 2 | 5 | 18 | 26:70 | 11 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-პორტიმონენსე ... 0:1
რიუ ავე-ლეირია ... 1:0
ბენფიკა-მარიტიმუ ... 2:1
ნაციონალი-სპორტინგი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 21 | 19 | 2 | 0 | 49:7 | 59 |
| 2.ბენფიკა | 21 | 17 | 0 | 4 | 44:17 | 51 |
| 3.სპორტინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 32:25 | 33 |
| 4.ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 22:22 | 32 |
| 5.გიმარაეში | 21 | 9 | 5 | 7 | 25:26 | 32 |
| 6.ნაციონალი | 21 | 8 | 5 | 8 | 18:23 | 29 |
| 7.ლეირია | 21 | 8 | 4 | 9 | 18:25 | 28 |
| 8.ბრაგა | 20 | 8 | 3 | 9 | 34:28 | 27 |
| 9.ოლჰანენსე | 21 | 6 | 9 | 6 | 19:21 | 27 |
| 10.ბეირამარი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:24 | 25 |
| 11.რიუ ავე | 21 | 6 | 5 | 10 | 21:25 | 23 |
| 12.აკადემიკა | 21 | 6 | 5 | 10 | 27:35 | 23 |
| 13.მარიტიმუ | 21 | 5 | 7 | 9 | 21:24 | 22 |
| 14.სეტუბალი | 21 | 4 | 7 | 10 | 16:30 | 19 |
| 15.პორტიმონ. | 21 | 3 | 5 | 13 | 19:37 | 14 |
| 16.ნავალი | 20 | 3 | 5 | 12 | 18:37 | 14 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-სელტიკი ... 2:0
რეინჯერსი-სტ.ჯონსონი ... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 27 | 20 | 4 | 3 | 59:17 | 64 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 19 | 2 | 4 | 57:23 | 59 |
| 3.ჰართსი | 27 | 17 | 4 | 6 | 41:22 | 55 |
| 4.კილმანროკი | 27 | 11 | 6 | 10 | 40:33 | 39 |
| 5.მოზერველი | 28 | 11 | 4 | 13 | 31:35 | 37 |
| 6.ინვერნესი | 27 | 8 | 9 | 10 | 36:35 | 33 |
| 7.დანდი | 24 | 7 | 10 | 7 | 28:31 | 31 |
| 8.სტ.ჯონსონი | 27 | 8 | 6 | 13 | 17:34 | 30 |
| 9.აბერდინი | 27 | 9 | 3 | 15 | 30:44 | 30 |
| 10.ჰიბერნიანი | 27 | 8 | 4 | 15 | 28:43 | 28 |
| 11.სტ.მირენი | 27 | 4 | 7 | 15 | 22:44 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 26 | 2 | 9 | 15 | 15:44 | 15 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-რიდი ... 1:0

**ბელგია. პროლიგა**

სტ.ტრუიდენი-სერკლი ... 0:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ბაზელი ... 0:1
სტ.გალენი-თუნი ... 0:1
იანგ ბოიზი-ქსამაქსი ... 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანსერაიკოსი-ასტერასი ... 0:1
პაოკი-კავალა ... 0:2
ერგოტელისი-აეკი ... 2:3
ლარისა-არისი ... 2:2
პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი ... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ქონია ... 2:1
სივასი-მანისა ... 4:2
ტრაბზონი-ქაისერი ... 3:3

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

უსტი-სიგმა ... 0:3
ბუდეოვიცე-ტეპლიცე ... 2:2
იაბლონეცი-ლიბერეცი ... 3:0

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

პოლონია-გურნიკი ... 0:0
ლეხი-ვიძევი ... 1:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ესტუდიანტესი-ბანფილდი ... 0:1
არხენტინოსი-ველეზი ... 1:1
ინდეპენდიენტე-რივერ პლეიტი ... 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ინდიანა-ფინიქსი ... 108:110(ოტ)
ოკლაჰომა-ლეიკერსი ... 87:90
კლივლენდი-ფილადელფია ... 91:95
მინესოტა-გოლდენ სტეიტი ... 125:123
ორლანდო-შარლოტი ... 100:86
ტორონტო-დალასი ... 96:114
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი ... 89:91
სან ანტონიო-მემფისი ... 95:88
მაიამი-ნიუ იორკი ... 86:91
პორტლენდი-ატლანტა ... 83:90

*ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი*

### რაგბი

**ექვსი ერის თასი**

შოტლანდია-ირლანდია 18:21

### ჩოგბურთი

**აკპ. დუილუი ბიჩი. პაიდი**

**ფინალი**

დელ პოტრო-ტიპსარევიჩი ... 6:4;6:4

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

რეინჯერსი-ტამპა ბეი ... 1:2
ნეშვილი-კოლამბუსი ... 3:2
ატლანტა-ტორონტო ... 3:2
ფლორიდა-ნიუ ჯერსი ... 1:2
ჩიკაგო-ფინიქსი ... 3:3(1:0ბ)
ანაჰაიმი-კოლორადო ... 3:2
კალგარი-სენტ ლუისი ... 1:0
ედმონტონი-ბოსტონი ... 2:3

# ჯგუფ „ელდრაინში“ ცვლილებაა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს სახელით „ევროვიზია 2011“-ზე წარსადგენ ჯგუფში „ელდრაინი“ ცვლილებაა. ჯგუფის სოლისტს თაკო ვადაჭკორიას სოფო ტოროშელიძე შეცვლის. სოლისტის შეცვლის გადაწყვეტილება ჯგუფის საპროდიუსერო კომპანიამ „ტიტანი“ მიიღო. ჯგუფმა „ელდრაინი“ 19 თებერვალს გამართულ წიდაშესარჩევ ეროვნულ კონკურსში გაიმარჯვა სიმღერით „ვან მორ დეი“.

დაგეგმილი ცვლილების შემდეგ, სოფო ტოროშელიძე რეპეტიციებს ჯგუფთან ერთად უკვე შეუდგა. მომღერალი მაყურებელმა პროექტ „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გაიცნო. ის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო სადირიჟორო ფაკულტეტზე სწავლობს. საბავშვო ევროვიზიაზე ჯგუფ „პრინცესების“ ვოკალის პედაგოგი იყო. გასულ წელს კი ნორვეგიაში ევროვიზიის კონკურსზე სოფო ნიჟარაძის ბექ ვოკალში მღეროდა.

ჯგუფში მომხდარი ცვლილებების გარდა, ცნობილი გახდა, რომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსის კონცერტებს სოფო ალთუნაშვილი გაუძღვება. 10 და 12 და 14 მაისს ევროფესტივალის ნახევარფინალებისა და ფინალის კომენტატორი საქართველოდან სწორედ სოფო იქნება. ასეთი საპასუხისმგებლო დავალება სოფოსთვის პირველი არ არის. მან ეს მნიშვნელოვანი ევროპული საღამოები რამდენჯერმე უკვე წაიყვანა. ეს შესაძლებლობა ქართულმა მხარემ მას წელსაც მისცა.

საქართველოს სახე წლევანდელ ევროვიზიაზე კი შარშანდელი კონკურსანტი სოფო ნიჟარაძე იქნება. ის ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საუკეთესო ათეულში მოხვდა და მეცხრე ადგილი დაიკავა. მომღერალი ევროპას იმ ქვეყნების ნუსხას გააცნობს, რომელთა წარმომადგენლებსაც ევროვიზიის კონკურსზე საქართველო ყველაზე მაღალ შეფასებებს მიანიჭებს. სოფოს მაყურებელი ევროვიზიის ფინალური კონცერტის შემდეგ იხილავს. მაშინ, როდესაც მაყურებლის წინაშე ხმის მიცემის პროცედურა დასრულდება, ყველა ქვეყნის წარმომადგენელი საკუთარ ფავორიტს დაასახელებს. გასულ წელს ევროვიზიაზე საქართველოს სახე საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანი მარიამ ვაშაძე იყო, 2008 წელს — თიკა ფაცაცია, 2007 წელს კი — ნელიკო აგირბა.

საქართველომ ევროვიზიის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში პირველად მონაწილეობა 2007 წელს მიიღო. ჩვენი ქვეყნის პირველი წარმომადგენელი სოფო ხალვაში იყო, მას შეენაცვლა დიანა ღურწკაია, 2009 წელს კი სტეფანემ და სამმა გოგომ უარი განაცხადეს მოსკოვში დაგეგმილ ევროვიზიაში მონაწილეობა, რადგან მათი სიმღერა „პუტინ დისკო“ ევროვიზიის ხელმძღვანელობამ დაიწუნა და სიმღერის ტექსტის შეცვლა მოითხოვა. გასულ წელს საქართველოს სოფო ნიჟარაძემ წარადგინა, მან სიმღერით „შაინ“ მოახერხა და ათეულში მოხვდა. წელს საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „ელდრაინია“.

წელს რიგით 56-ე ევროფესტივალი გერმანიაში გაიმართება.ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალები 10 და 12, ხოლო ფინალი — 14 მაისს ქალაქ დიუსელდორფში შედგება.

რაც შეეხება ჯგუფში განხორციელებულ ცვლილებას, როგორც ევროვიზიის საქართველოს წარმომადგენელმა ნათია უზნაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა:

— ჯგუფში სოლისტის თაკო ვადაჭკორიას შეცვლის გადაწყვეტილება საპროდიუსერმა ჯგუფმა მიიღო. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი თაკო ვადაჭკორიასა და საპროდიუსერო კომპანიას შორის შეთანხმების მიუღწევლობაა. ჩვენ ვაფორმებთ ხელშეკრულებას საპროდიუსერო კომპანიასთან, ის კი თავის მხრივ ხელშეკრულებას უფრომებს მუსიკოსებს. როგორც ჩანს თაკომ და „ტიტანმა“ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. რა მოხდა კონკრეტულად, ამის შესახებ ინ-

# ჯონ გალიანო გადააყენეს



ლეგენდარულმა სამოდელო სახლმა „კრისტიან დიორმა“ ოფიციალურად შეუჩერა უფლებამოსილება დიზაინერ ჯონ გალიანოს, რომელიც დღემდე სახლის კრეატიული დირექტორის თანამდებობაზე იმყოფებოდა.

სახლის მესვეურთა გადაწყვეტილების მიზეზი გახლდათ შემთხვევა, რომელიც პარიზში მოხდა. პარიზის ერთ-ერთ კაფეში მყოფმა გალიანომ მასთან ახლოს მჯდომი კაფეს ერთ-ერთი კლიენტის მიმართ ანტისემიტური ფრაზები იხმარა. პოლიციამ გალიანო დააკავა, მაგრამ ალკოჰოლზე შემოწმების შემდეგ გაათავისუფლა. „კრისტიან დიორის“ სამოდელო სახლის კრეატიული დირექტორის თანამდებობას ჯონ გალიანო 14 წლის მანძილზე ასრულებდა.

ათბ-ნიუსი

# „შიშველი თეატრის“ დასმა სპექტაკლი წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში რეჟისორ ნანა კვასხვაძის მიერ დაარსებულმა „შიშველი თეატრის“ დასმა სპექტაკლი გამართა. ღონისძიება დიდი რეჟისორისადა პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო.

„და იქმნა თამაში“ — ასეთია სპექტაკლის სახელწოდება, რომელშიც მსახიობები ერთდროულად ხუთი სხვადასხვა ავტორის უილიამ შექსპირის, ლადო ასათიანის, დავით კლდიაშვილის, რეზო ინანიშვილისა და მიშელ ფერმოს ნაწარმოებების პერსონაჟებს აცოცხლებენ.

რეჟისორმა ნანა კვასხვაძემ სპექტაკლი ერთ მოქმედებაში ჩაატია. „შიშველი თეატრი“ საქართველოსთვის ექსპერიმენტულ, ინოვაციურ ჟანრს წარმოადგენს. ერთი პერფორმანსი „შიშველი თეატრის“ დასის მიერ საქართველოში პირველად იქნა წარმოდგენილი.

„შიშველი თეატრი“ 2005 წელს დაარსდა და მას შემდეგ წარმოდგენებს მართავს, როგორც თბილისში ისე საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ტიპის სივრცეებში. თეატრი არის მოძრავი და არ გააჩნია მუდმივი სცენა. ნანა კვასხვაძის რეჟისორული ხედვა ქართული თეატრალური სივრცისთვის ახალი გამოწვევაა. თეატრის სამხატვრო პრინციპებიდან გამომდინარე, დეკორაციად დასი იყენებს ადგილზე არსებულ ნივთებს და რთავს მათ თითოეულ წარმოდგენაში.

— ეს არის სპექატკლი, სადაც შეგიძლია რამდენიმე ავტორის შემოქმედება ერთად ნახო. მთელი ჩვენს მიერ დადგმული სპექტაკლების ინსტალაცია გვაქვს აკერფილი და ვთავაზობთ მაყურებელს. საქართველოში პირველად წარმოვადგენთ ჩვენს შემოქმედებას. როცა გასტროლზე მივდივართ, ვინაიდან არ გვაქვს საშუალება წავიღოთ ყველა ჩვენს რეპერტუარში არსებული სპექატკლი, ამიტომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ — ხუთი შემოქმედის ნაწარმოელები ერთ პერსორმანსში გავაერთიანეთ და მაყურებელს ასე შევათავაზეთ. მსახიობებისთვის ეს მეტად საინტერესო ჟანრია — ისინი ერთდროულად რამდენიმე სპექტაკლში თამაშობენ და ერთდროულად ეშსაძლოა ხუთ გმირსაც ასახიერებდნენ, — განაცხადა „შიშველი თეატრის“ რეჟისორმა ნანა კვასხვაძემ.

„შიშველი თეატრის“ დასმა კინომსახიობთა თეატრში დაგეგმილ სპექტაკლამდე წარმოდგენა მედიის წარმომადგენლებისთვის „ალტერვიჟენ ჯგუფის“ ოფისში გამართა და იმპროვოზირებული ჩვენება მოაწყო, ვინაიდან ალტერვიჟენ ჯგუფი, „შიშველი თეატრის“ ინოვაციური ჟანრის მხარდაჭერად გამოდის.

# ფილმების პოპულარიზაციის პროექტში თბილისიც ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტამბოლის საერთაშორისო ფილმების პოპულარიზაციის წამყვანი პროექტის „ისტანბულ ლაივ“ პრეზენტაცია შედგა. პროექტი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანას, არის რეგიონის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება. მისი მიზანია თანამედროვე ფილმების სხვადასხვა ქვეყნების აუდიტორიისთვის მიწოდება. პროექტის დებიუტი შედგა 2010 წელს, როდესაც განხორციელდა ფილმების ონლაინ რეჟიმში ჩვენება თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის 16 ქალაქში. წელს პროექტი მოიცავს 23 ქალაქს. ამ ქალაქებს შორის აღმოჩნდა თბილისიც.

ილიას უნივერსიტეტის 101-ე აუდიტორიაში ნაჩვენები იყო ხუთი ფილმი. ეს ფილმები ნაჩვენებიი იქნება წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში 23-ვე ქვეყანაში. მათში ასახულია სტამბოლის მიდგომა თანამედროვე კინემატოგრაფის მიმართ. ფესტივალი მოიცავს სხვადასხვა ჟანრს, იუთუბის მასალებიდან დაწყებული ანიმაციით დამთავრებული. ფესტივალის მიზანია, პასუხი გასცეს იმ ძირითად კითხვებს, რომელიც ეხება ადამიანის მდგომარეობას თანამედროვე მსოფლიოში. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილ ყველა ფილმში გადმოცემულია პირადი ისტორიები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

თბილისში დაგეგმილი სამდღიანი ფესტივალის პროგრამით ნაჩვენები იყო ფილმები „ქალები გმირები არიან“, „ოთხი ლომი“, „ბოიტას უკანასკნელი ზაფხული“, „ცუდის ყვავილები“ და „მარსი“. ყოველი ფილმის ჩვენების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა ფილმის რეჟისორთან დისკურსია პირდაპირ ეთერში გაემართა.

# „დიდგორს“ პირველი ალბომი აქვს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ფოლკლორულმა ანსამბლმა „დიდგორი“ ორწლიანი პაუზის შემდეგ კონცერტი გამართა.

ანსამბლმა შეკრებილი მსმენელისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი განახლებული რეპერტუარი გააცნო. პროგრამაში შესული იყო როგორც ძველი, ისე რამდენიმე ახალი სიმღერა. კონცერტზე შესრულდა ისეთი სიმღერებიც, რომლებიც ათეული წლებია სცენაზე ცოცხლად არ შესრულებულა. ანსამბლ „დიდგორს“ ორწლიანი პაუზა გამოუვიდა,ს ამაგიეროდ, მსმენელს ბევრი ახალი სიმღერა და პირველი სტუდიური ალბომი შესთავაზა.

ანსამბლი დიდგორი უკვე ექვსი წელია არსებობს. მისი წევრები არიან გივი აბესაძე (ფოთი) პირველი ხმა, გედევან ჯინჭარაძე I ხმა (კრიმანჭული), ლევან წიტაიშვილი მეორე ხმა (ანსამბლის ხელმძღვანელი), ნოდარ ქარცივაძე მეორე ხმა, კახა ჩანგაშვილი მეორე ხმა, გივი ბაქრაძე მეორე ხმა, კახა ჩხიკვაძე მეორე ხმა (კრიმანჭული), კარლო (კოკა) ალავიძე ბანი, ნოდარ ტურძელაძე ბანი, გიორგი ქარცივაძე ბანი, დავით მაღულარია ბანი, ნიკა ივანაშვილი ბანი, აჩიკო გურგენიძე ბანი.

ანსამბლი „დიდგორი“ გალობს ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე (პავლოვზე) მდებარე წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. ანსამბლს პირველი სოლო კონცერტი ჰქონდა შექმნიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ. მთლიანობაში „დიდგორმა“ ექვსწლიანი არსებობის მაძილზე ოთხი სოლოკონცერტი გამართა.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული სოლოკონცერტის ბოლოს, დამსწრე საზოგადოებას ანსამბლმა „დიდგორმა“ კომპაქტური დისკი წარუდგინა. ეს ანსამბლის პირველი სტუდიური ჩანაწერია. მასში 17 ახალი სიმღერაა შესული. ღონისძიების სპონსორები იყვნენ ბიზნესმენები სანდრო ქათამაშვილი, მამუკა ხაზარაძე და არჩილ გეგენავა. კონცერტის მონაწილეთა ჩაცმულობაზე კი ახლახანს ფართო საზოგადოებისთვის წარდგენილმა კომპანიამ „სამოსელი პირველი„ იზრუნა.

# ჰერეთში წმინდა ნინოს ეკლესია აღდგენილია

ეკა ირემაშვილი

ჰერეთში XIX საუკუნის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია აღდგენილია. ტაძარი სოფელ ალიბეილიში მდებარეობს. იგი წლების განმავლობაში საყოფაცხოვრებო ფუნქციას ასრულებდა და იქ სასუქს ინახავდნენ.

პირველ ეტაპზე აღდგა ეკლესიის ინტერიერი, შემდგომ კი ფასადი და მისასვლელიც გზაც მოწესრიგდა. ტაძრის რეაბილიტაცია ადგილობრივ მცხოვრებთა და ორგანიზაციათა შემოწირულობით განხორციელდა. პირველი წირვა-ლოცვა აღდგენილ ეკლესიაში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მამა ბასილ გიგოლაშვილმა უკვე აღავლინა. ადგილობრივი მოსახლეობა იმედოვნებს, რომ წმინდა ნინოს ახალაღდგენილ ტაძარში სასულიერო პირს საქართველოს საპატრიარქო მიავლენს.

ისტორიულ ჰერეთში წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის გარდა კიედვ არაერთი ეკლესიაა, რომელიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. მუშაბაშში მდებარე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, ალავერდის წმინდა ნინოს და ქოთოყლოს სამების სახელობის ტაძარი სასწარფო შველას ითხოვენ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში; 2. ქართული სპორტული გაზეთი; 3. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 5. მდგომარეობა ჭადრაკში; 7. დიდი სიზუსტით დასამიზნებელი ოპტიკური ხელსაწყო შაშხანაზე; 9. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 13. ყველაზე მაღალი ტონალობის ოთხსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მდინარე გურია-აჭარის საზღვარზე; 16. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი.

**თარაზულად:** 4. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი ან რელიგიური მოტივებით; 6. ოთხკუთხედი, რომლის მხოლოდ ორი გვერდია პარალელური; 8. თანამედროვე ქართველი მხატვარი ქალი; 10. ვირისთვის, ცხენისთვის ასაკიდი ტვირთი; 11. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 12. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 14. ურჩი, ჯიუტი ცხენი; 17. ხურდა ფული აშშ-ში; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 20. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 21. ფულის ერთეული იაპონიაში; 22. თვითმფრინავის კორპუსი; 23. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სტენდალი; 6. ფანქარი; 10. კარაბინი; 11. ამბარი; 13. პრიმასი; 16. პირამიდა; 18. კალია; 19. აქატი; 21. კვანტი; 22. პლინთუსი; 23. არითმია.

**შვეულად:** 1. აქტავიზმი; 2. მასრა; 3. ანდროიდი; 4. კითარა; 7. ისარი; 8. პარნასი; 9. ირანი; 12. ასიმილაცია; 14. კიმონო; 15. ბოქაული; 17. ბარბითი; 20. ივასი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. შორაპანი; 2. შაჰი; 3. არენა; 4. სალამე; 5. ნო; 6. ჰანიბალი; 7. ულო; 8. მირიან; 9. ტენგე; 10. მედალი; 11. ოტია; 12. ასკერი; 13. სი; 14. გრამი; 15. საგა; 16. საკისარი; 17. არამი; 18. ირისი; 19. რუ; 20. ას; 21. ამარკორდი; 22. მანერა; 23. მესკია; 24. რე; 25. ფარვანა; 26. საუნა; 27. მედიჩი; 28. მნე; 29. რაცია; 30. როკოკო; 31. ფასადი; 32. ფრონტი.

**სურათებზე:** ოლგა კურილენკო; ნემანია ვიდიჩი.

# დასავლეთი კადაფიზე ზეწოლას გააგრძელებს



ლიბიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, ამბოხებულები ქვეყნის დედაქალაქ ტრიპოლის უახლოვდებიან. ეს ქალაქი ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის უკანასკნელ დასაყრდენად რჩება.

ლიბიაში ორი კვირის განმავლობაში შეტაკებების შედეგად ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

ქვეყნის აღმოსავლეთი ანტისამთავრობო ძალების კონტროლს ექვემდებარება. ამბოხებულებმა გარდა ამისა, დედაქალაქიდან 50 კმ-ით დაშორებული ქალაქი ეზ-ზავია დაიკავეს.

გამოსვლების ცენტრად ქალაქი ბენგაზი იქცა. აქ ჩამოყალიბდა ოპოზიციური ეროვნული კომიტეტი, რომელმაც საპროტესტო გამოსვლების ყველა მონაწილე უნდა გააერთიანოს.

გაეროს ადამიანის უფლებათა ჟენევის სამიტზე გამგზავრების წინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა დაუფარავად დაუჭირა მხარი კადაფის ოპონენტებს და განაცხადა, რომ ვაშინგტონი ქვეყნის აღმოსავლეთით ლიბიელების უმეტესობას მიმართავს.

ჰილარი კლინტონმა ასევე განაცხადა, რომ ლიბიაში შექმნილ ვითარებას განიხილავს თავის კოლეგებთან როგორც ევროპაში, ასევე ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

გაეროს უშიშროების საბჭომ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას დაუჭირა მხარი. თავად ლიბიის ლიდერმა სერბული ტელეარხის ინეტრვიუში განაცხადა, რომ ამ სანქციებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

კადაფის თქმით, მას ლიბიის ხალხი უჭერს მხარ, მეამბოხეთა მცირერიცხოვანი რაზმები უკვე გარშემორტმული არიან და მათ შესაბამისად მოექცევიან.

კადაფიმ გარდა ამისა, უარყო მოსაზრება, თითქოს მის ოჯახს საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები გააჩნია. გარდა ამისა, ლიბიის ლიდერმა მცდარი უწოდა მრავალრიცხოვან ცნობებს იმის შესახებ, რომ მისმა მთავრობამ მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნა და უცხოელები დაიქირავა.

გაეროს მონაცემებით ლიბიისა და ტუნისის საზღვარზე ათეულ ათასობით ლტოლვილი იმყოფება. მათი უმეტესობა ეგვიპტის მოქალაქეა.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს წარმომადგენლების თქმით, ლიბიის ხელისუფლები ლტოლვილთა ნაკადს ვერ უმკლავდებიან.

**გ.თ.**

# ბრიტანეთმა რუსეთს და ჩინეთს დახმარება შეუწყვიტა

ბრიტანეთის მთავრობამ საერთაშორისო ფინანსური დახმარების პროგრამები გადასინჯა და დახმარების სიიდან 16 ქვეყნის, მათ შორის რუსეთისა და ჩინეთის ამორიცხვა გადაწყვიტა.

ოფიციალური განცხადება ამ გადაწყვეტილების შესახებ მიმდინარე კვირას უნდა გავრცელდეს. იმავდროულად, ბიბისის ჟურნალისტები გაეცნენ სამთავრობო ანგარიშს, რომელშიც ლონდონის მიერ სხვა ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის პრინციპებია განხილული.

ანგარიშის შინაარსი მოულოდნელობით არ გამოირჩეოდა. გასულ წელს ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების მინისტრმა ენდრიუ მიტჩელმა დაასდატურა, რომ კოალიცურ მთავრობას განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაფართოება აქვს გადაწყვეტილი, გარდა ამისა, ამ პროგრამიდან რუსეთისა და ჩინეთის ამორიცხვის შესახებაც ისაუბრა.

დახმარება, რომელსაც რუსეთი ბრიტანეთისაგან იღებდა, ბოლო წლებში უმნიშვნელო იყო და ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით იყო შემოფარგლული.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთი ერაყის



დახმარების შეწყვეტას, გარდა ამისა, ინდოეთისათვის გამიზნული დახმარების გაყინვას აპირებს.

იმავდროულად, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი ერთი მესამედით გაიზარდა. ბრიტანეთი 27 ქვეყანას დაეხმარება, უპირველეს ყოვლისა იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია მშობიარეთა სიკვდილიანობა, გარდა ამისა, მალარიით გამოწვეული სიკვდილიანობა, ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ავღანეთი და განა.

მთავარი აქცენტი იმ პროგრამებზე იქნება გადატანილი, რომლებიც მიზნად ქალებისა და გოგონების დახმარებას ისახავს.

სამთავრობო ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა ბრიტანეთის ეკონომიკასა და უსაფრთხოებაზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენს.

**გ.თ.**

# ეს კახი კავსაძეა!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შემოქმედებით ჯგუფის ფინანსები არ აქვს. ორთვიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ, რეჟისორმა და მისმა თანამოაზრეებმა მიაკვლიეს სასურველ ფოტოებს ნიუ იორკის ბიბილიოთეკაში, თუმცა, ერთი ეგზემპლარის ფასი 150 დოლარი აღმოჩნდა, რაც ფილმის ავტორებს არ გააჩნიათ. რეჟისორს იმედი აქვს, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თუნდაც თითო ფოტოს შეიძენენ და ფილმისთვის აუცილებლად საჭირო რაოდენობის ფოტოებს სწორედ ასე მოაგროვებენ.

ნანა ჯანელიძის ახალი ფილმისთვის მუსიკა კომპოზიტორმა მიშა მდინარაძემ დაწერა. ფილმი კახი კავსაძეზე და ზოგადად იმ პერიოდზეა, როდესაც ლეგენდარულ მსახიობს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია. სურათში ასახულია სამი პერიოდი — საბჭოთა წყობილება, პოსტსაბჭოთა პერიოდი და ახლანდელი — თანამედროვე ყოფა. ფილმში კახი კავსაძის დედის როლს ცნობილი ტელეწამყვანი ნინო კურატაშვილი ასრულებს, ხოლო პატარა კახი და იმერი კავსაძეებს ძმები ირაკლი და ნიკა კაკაურიძეები თამაშობენ.

კახი კავსაძეზე ფილმის გადაღება ნანა ჯანელიძემ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებულ საღამოს „კავსაძეები“ დაესწრო. ბატონი კახის ცხოვრება იმდენად საინტერესო და ღრმა აღმოჩნდა რეჟისორისთვის, ბევრი აღარ უფიქრია და გადაწყვიტა მისი ახალი ფილმის მთავარი გმირი სწორედ კახი კავსაძე გამხდარიყო.

ნანა ჯანელიძემ თავისი ახალი ფილმის გადაღებები ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე აწარმოა. ეს არის ერთი მოქალაქის ცხოვრება, სადაც აღწერილია მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა, შემოქმედებითი წლები და ყველა ის პრობლემა, რომლებსაც კახი კავსაძის გმირმა დააღწია თავი. მსახიობი გულწრფელად საუბარობს იმ მძიმე ცხოვრებაზე, რომელსაც მისმა ოჯახმა გადასახლებებით დაწყებული, ათასი პრობლემით დამთავრებული, როგორ ღირსეულად გაუძლო. კახი კავსაძის თხრობის გარდა, ახალი ქართული სურათი ფოტოებით და საინტერესო ისტორიებით არის გაჯერებული.

მართალია ამ ფილმში მთავარი აქცენტი კახი კავსაძეზეა, მაგრამ როგორც ნანა ჯანელიძე ამბობს, ამ პერსონაჟში ბევრი თავის ცხოვრებასაც დაინახავს, ვინაიდან ის სირთულეები, რაც კავსაძეების ოჯახმა გადაიტანა, რეალურად ყველა ადამიანმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

ფილმის დასრულებასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ახლა ფილმში გამოსაყენებელი ფოტოების შეძენაა. რეჟისორს არ უნდა იყაჩაღოს და სურათები თავის ახალ ნამუშევარში არალეგალურად გამოიყენოს. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, რეჟისორის განცხადებით, ფილმი ეკრანებზე გაზაფხულზე გამოვა.

**ნანა ჯანელიძე, რეჟისორი:**

— ეს არის მხატვრულ დოკუმენტური ფილმი, სადაც ბატონი კახი კავსაძე თვითონ ყვება თავის ცხოვრებას. სურათში მსახიობის ბავშვობა, ახალგაზრდობა, თეატრი, ადამიანებთან ურთიერთობაა გაერთიანებული. ფილმში დოკუმენტური მასალაც არის გამოყენებული.

***— ფილმი რა ეტაპზეა?***

— ამ ეტაპზე შეჩერებულები ვართ. ფილმისთვის გვჭირდება ფოტოები, სამამულო ომის ფოტოები, გულაგის ფოტოები, რომლებიც საკმაოდ ძვირია.

***— ფოტოები არქივიდან უნდა შეიძინოთ?***

— დიახ. გვჭირდება 32-მდე ფოტო, რომლებიც აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ძვირია.

***— რა ღირს ეს ფოტოები?***

— თავიდან არ გვეგონა ასეთი პრობლემა თუ გახდებოდა, მაგრამ როცა მივაკვლიეთ და ყიდვა დავაპირეთ, აღმოჩნდა, რომ თითოეული 150 დოლარი ღირდა. ფილმში არალეგალურად ფოტოებს ვერ გამოვიყენებთ, უხერხულია.

***— ამ ფოტოების შეძენა ასეთი რთულია?***

— საკმაოდ. რამდენიმე საფეხურის გავლა დაგვჭირდა. ჯერ ავტორები მოვძებნეთ, სად იმყოფებოდნენ, შემდეგ სასურველი ფოტოები მოვიკვლიეთ, მერე სანამ დავადგინეთ, ვისია, სად ინახება და როგორ ინახება, დიდი დრო დასჭირდა. ჟურნალისტებმა გვითხრეს, არანაირი პრობლემა არ იქნება, ჩვენც ვყიდულობთო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ფოტოები რაც გვჭირლდება, საკმაოდ ძვირია. გულაგის ფოტოები ნიუ იორკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა მხოლოდ და მათში მუზეუმმა ერთ ეგზემპლარში 150 დოლარი გვთხოვა. 32 ფოტო გვაქვს მოძიებული, ის ფოტოები ფილმში რომ გამოიყენო, ამის უფლებაც უნდა გქონდეს, თუ არადა, გამოდის რომ ყაჩაღი ხარ.

***— ბევრი დაბრკოლება გქონდათ?***

— ვოცნებობ, რომ გამოჩნდეს ადამიანი, ვინც ფოტოების ყიდვაში მოგვეხმარება. იმაზეც თანახმა ვართ, ერთმა ერთი ფოტო რომ შეიძინოს, მეორემ თუნდაც სამი და ასე ნაწილობრივად რომ მოვაგროვოთ. ამ ფოტოების მოძიებას თითქმის ორი თვე მოვუნდით, ძლივს მივაგენით და ფასი რომ გვითხრეს, ისევ გავჩერდით. მოკლედ, სულ დაბრკოლებები გვაქვს.

***— ფილმის დასასრულებლად მხოლოდ ფოტოები დაგრჩათ?***

— კი. გადაღებები დასრულებულია, მონტაჟი დასრულებულია. მუსიკასაც დავადებთ უახლოეს დღეებში. ყველაზე დიდი დრო ფოტოებმა წაიღო.

***— ეს მხატვრულ დოკუმენტური ფილმია?***

— კი, თითქოს დოკუმენტურია, მაგრამ არის მასში მხატვრული ელემენტებიც. სანახაობრივად ცუდი ფილმი არ უნდა გამოვიდეს.

***— არჩევანი კახი კავსაძეზე რატომ შეარჩიეთ?***

— კახი სიმბოლოა ამ ფილმში. ზოგადად ფილმი ყველა იმ ადამიანზეა, ვინც გამოიარა ათასგვარი უბედურება, საბჭოთა რეჟიმი, გადასახლებები, მშობლების დახვრეტა. ის, რასაც კახი კავსაძე ყვება, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა და ეს ყველას ტრაგედიაა. ეს არ არის მარტო კახის ტკივილი. ის პერიოდი ძალიან მტკივნეული იყო თითქმის ყველასთვის, ამიტომ ამ ისტორიების ასეთ ფორმაში გადმოცემა კიდევ უფრო საინტერესოდ მეჩვენება.

***— პრემიერას როდის გეგმავთ?***

— თუ ყველაფერი კარგად ზარიმართა და ფოტოები დროულად შევიძინეთ, ფილმის პრემიერა სავარაუდოდ გაზაფხულზე გაიმართება.

## TV პროგრამა

### სამშაბათი 1 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00, 01.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ქსელი"** (**12**) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია **03.20** მხ. ფილმი **"ავტოფოკუსი"** (**18**) (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ორკვირიანი შეტყობინება" 01.00** მხ. ფილმი **"სრული იზოლაცია"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 10.00** სერ. **"მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი" 16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო" 16.50** სერ. **"მორენას ვნება" 18.30** სერ. **"გაორება" 18.50** სერ. **"დანიელა" 19.50** სერ.**"ელენას მოჩვენება" 21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** მხ. ფილმი **"ტუჩები გაქირავებით"** (**18**) (დ. შოუნი) **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი **"ტანსაცმელი მკვლელისთვის"** (**18**)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო" 12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი" 16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო" 21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები" 13.00** სერ.**"ლობას საიდუმლო" 14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი" 17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა" 18.45** სერ.**"ლობას საიდუმლო" 21.00** სერ. **"ქალბატონი" 22.00** ნანუკას შოუ **23.30** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (**18**) (მ. ჯორჯი) (სუბტ.) **01.30** მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (**12**) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **03.05** მხ. ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბ. ლი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ.**"დაცვის უფლება" 10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი" 12.50** სერ. **"დიდი ტურინი" 15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები" 19.30** სერ. **"დიდი ტურინი" 00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.25** მოკლემ. ფ.**"მეზობლები" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ელისო" 13.10** კონცერტი – ჯ. სეფიაშვილი **15.05** მხ. ფ. **"ჩემი ბოშები" 16.20** დოკ.ფ."ველური ბუნება" **16.45** მონოსპექტაკლი "აქ მატარებლებს თეთრად ათოვს" **18.00** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.15** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** შარავანდედი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**



# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე შოთა, შვილები ვლადიმერი და თამარ კიკალიშვილები, ძმა ბექსოლდ ქურდაშვილი, შვილიშვილები ელენე კიკალიშვილი, გელა კიკნაძე, რძალი თათია არჩემაშვილი, მაზლი კლიმენტი კიკალიშვილი, რძლები ეთერ კოკელაძე, ნათელა ცანავა, ნუნუ შენგელია თავიანთი ოჯახებით, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**ლამარა ქურდაშვილი-კიკალიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 3, 4 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 5 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ნუცუბიძის პლატო, III მიკრორაიონი, I კვარტალი, XIII კორპუსი.

შვილები თემურ და მერაბ ბულისკერიები, რძლები ლალი ნანავა და დალი ფაცაცია, შვილიშვილები თამრიკო, გიორგი და ნინო ბულისკერიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**თამარ პარმენის ასულ გობეჯიშვილი-ბულისკერიას**

გარდაცვალებას:

პანაშვიდი: 1, 2 მარტს, 17 საათზე, ვაჟა-ფშაველა, II კვარტალი, VII კორპუსი, ბინა 42.

გამოსვენება: 3 მარტს, 14 საათზე, ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიიდან, მის: ყაზბეგის 36 (შანხაი).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



# „ტორპედოს“ მონატრებული გამარჯვება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ტყა ბურთი, რომლის აღება ქუთაისელთა კიპერს არ გასჭირვებია. პირველი ნახევრისაგან განსხვავებით, მასპინძლები უფრო გამოცოცხლებულნი ჩანდნენ და უფრო აქტიურად ამოქმედნენ, თუმცა, საგოლე მომენტების შექმნის მხრივ, მაინცდამაინც დიდად თავი არ გამოუჩენიათ. 68-ე წუთზე კი, კოლხებმა სახიფათო საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ სიჭინავას დარტყმული ცოცხალ კედელს მოხვდა.

რამდენიმე წუთში, ქუთათურები არბიტრისაგან პენალტს ითხოვდნენ და საამისო საფუძველიც ჰქონდათ. დიღმელაშვილის მიერ საჯარიმოს გარედან ძლიერად დარტყმული ბურთი საჯარიმოში მყოფ ცხვიტარიას მოხვდა, რომელმაც თითქოს ბურთი დაიჭირა — კრიჭაშვილმა თამაშის გაგრძელება ბრძანა, რამაც „ტორპედოს“ ქომაგთა გულისწყრომა გამოიწვია. 79-ე წუთზე, უხეში შეცდომა დაუშვა ფოთელთა კარის დარაჯმა, რომელმაც თანაგუნდელის ნაცვლად, ბურთი ბაკურაძეს დაუგორა. ქუთაისელთა ახალწვეულმა ბურთი შეუჩერებლივ გაგზავნა მეტოქის კარისკენ, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და ძაგანიამაც თავისი შეცდომა გამოასწორა. დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა და „ტორპედომ“ წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა.

**სპარტაკი — სიონი 3:0**

*1:0, 2:0, 3:0 მეტრეველი (38, 67, 85)*

ცხინვალელებმა დიდებული მატჩი ჩაატარეს. განსაკუთრებით მათი შემტევი ზვიად მეტრეველი გამოირჩა, რომელმაც ჰეთ-ტრიკი შეასრულა და ცხინვალელებს ბოლო საფეხურიდან თავის დაღწევაში დიდი წვლილი შეიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 21 | 14 | 2 | 5 | 43:13 | 44 |
| 2.ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33:19 | 44 |
| 3.დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24:11 | 37 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 211 | | 23:27 | 29 |
| 5.ბაია | 21 | 8 | 58 | | 21:23 | 29 |
| 6.სიონი | 22 | 6 | 7 | | 915:27 | 25 |
| 7.ტორპედო | 21 | 6 | 8 | | 711:12 | 26 |
| 8.კოლხეთი | 22 | 6 | 412 | | 16:34 | 22 |
| 9.ცხინვალი | 21 | 55 | 11 | | 23:26 | 20 |
| 10.სამტრედია | 21 | 55 | 11 | | 19:36 | 20 |

**ბომბარდირები:** რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)— 11-11 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) —10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 7-7.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 1 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7567

ევრო — 2,3963

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8409

რუსული რუბლი — 0,0599

**ამინდის პროგნოზი 1 მარტისთვის**

__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-19, ღამით — -2-1

__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-13, ღამით — 4-§

__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9-3, ღამით — -12 -2







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## ასტროპროგნოზი 1 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

__წარმატებული დღეა.__

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებთ. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მორიელი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ახალი საქმე გაამართლებს. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 2. ჯიშის გასაუმჯობესებლად შერჩეული ცხოველის ან მცენარის საუკეთესო ეგზემპლარი; 3. ფინური ხალხური ეპოსი; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. ჩეხი დრამატურგი, რეჟისორი, ყოფილი პრეზიდენტი; 12. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. მდინარე კახეთში; 17. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 18. ცელქი, მოუსვენარი, დაუდეგარი ბავშვი.

**თარაზულად:** 6. დაქირავებული კავალერი; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა ან კაოლინი; 10. ღვინის დანალექი; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 13. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული სამხედრო ავიამზიდი ხომალდი; 19. ციხე-სიმაგრე თბილისში; 20. შაქრის სუროგატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## მაღალი ძაბვის სადენი კარნავალის მონაწილეებს დაეცა

ბრაზილიაში საკარნავალო პროცესიაზე მაღალი ძაბვის სადენის ჩამოვარდნის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა.

ეს შემთხვევა პატარა ქალაქ ბანდეირა დუ სულში მოხდა. ალლუმში ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა. ეს ქა-



ლაქი რიო დე ჟანეიროს ჩრდილოეთით, მინას ჟერაისის შტატში მდებარეობს.

გაწყვეტილი სადენი ქუჩაში მიმავალ ადამიანებს დაეცა. ალლუმის მონაწილეები ამ დროს ცენტრალურ მოედანზე საცეკვაო პლატფორმის მატარებელი სატვირთო მანქანის გარშემო ცეკვავდნენ.

ათობით ადამიანი დაშავდა, მრავალი მათგანი საკმაოდ სერიოზულად. ქალაქში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. გამოირთო სატელეფონო კავშირი.

თვითმხილველების თქმით, შემთხვევის ადგილას ქაოსი დაიწყო.

მომხდარის მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. როგორც ვარაუდობენ, სადენი შესაძლოა პეტარდის მოხვედრის შედეგად გაწყდა. სხვა მოსაზრებით, სადენი სატვირთო ავტომობილმა გაწყვიტა.

ქალაქის მერის, ჟოზე კაპიტუვას თქმით, მომხდარის მიზეზები მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა.

ადგილობრივ საავადმყოფოებში მიყვანილ დაზარალებს შორის რამდენიმე მოზარდია. მათგან ხუთი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ბანდეირა დ სულისა და ბრაზილიის სხვა ქალაქებში ალლუმები დიდ კარნავალს უსწრებდა წინ, რომელიც პარასკევს უნდა დაიწყოს.

გ.თ.

## იუმორი



***

— უკაცრავად, ეს გზა ზღვამდე მიმიყვანს?

— დიახ.

— ეს?

— ეგეც.

— უკაცრავად, აი ის?

— ისიც. აქ ყველა გზა ზღვამდე მიდის. კუნძულზე ვართ...

***

— იცი, ანა, — ეუბნება ტელეფონით ნანა დაქალს, — მე და ვანოს ერთმანეთი გვიყვარს.

— კარგი, რომ დაამთავრებთ, მერე დაგირეკავთ...

***

— ცხოვრება ის გაკვეთილია, საიდანაც მხოლოდ ერთხელ შეიძლება გაპარვა...

***

— ქმარს უნდა გავეყარო. ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხი სიტყვა მითხრა და ისიც უწმაწური.

— გასაგებია. შვილები გყავთ.

— დიახ, ოთხი...

***

— დღეს სნოუბორდით სასრიალოდ წამოხვალ?

— არა. ისედაც მთლად დალურჯებული ვარ

— რატომ?

— სნოუბორდზე და თხილამურებზე ალერგია მაქვს,

***

— მამა, გაიცანი, ეს ნანაა, ჩვენთან იცხოვრებს.

— დიდხანს?

— ერთი საათი...

გ.თ.

## დევიდ ბლატი: „კირილენკოსთვის ნაკრების კარი მუდამ ღიაა"

**გასული წლის სექტემბერში, საკალათბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას, რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, დევიდ ბლატმა განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრების დატოვებას აპირებდა. თუმცა, დასრულდა მუნდიალი და ბლატი პოსტზე დარჩა, თანაც დასძინა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო კიდევ მჭირდებაო. ამ ფიქრს წერტილი ახლახან დაუსვა. ებრაელი სპეციალისტი, რომელიც ამჟამად თელ ავივის „მაკაბის" წვრთნის, რუსეთის ეროვნულ გუნდში დარჩენას დათანხმდა და ეს ჟურნალისტებთან საუბარშიც დაადასტურა.**



მოგეხსენებათ, რუსეთი ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა, ამდენად, ბლატის ინტერვიუ ქართველ გულშემატკივრებსაც დააინტერესებთ.

*— მართლა მიემგზავრებით მოსკოვში?*

— დიახ. ყველაფერი მოლაპარაკებული და შეთანხმებულია. მოსკოვში, რუსე-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ეს კახი კავსაძეა!



ეკა ირემაშვილი

**ქართველმა რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ „გალობის რაინდების" შემდეგ მორიგი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაიღო. „ეს კახი კავსაძეა!" — ასე ეწოდება რეჟისორის ახალ ნამუშევარს, რომელშიც მთავარ როლს ყველასთვის საყვარელი კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი კახი კავსაძე ასრულებს.**

ფილმის გადაღებები უკვე დასრულებულია, დასასრულს მიუახლოვდა სამონტაჟო სამუშაოებიც. ფილმის დიდი ეკრანებზე გამოსვლას კი იმ მნიშვნელოვანი ფოტოების არქონა აფერხებს, რომელთა გამოყენებაც, რეჟისორის აზრით, ფილმში მეტად მნიშვნელოვანია. საუბარია გულაგისა და ომის დროინდელ ფოტოებზე.

როგორც ნანა ჯანელიძემ გვითხრა, ფილმში სულ ცოტა 32 ფოტოა საჭირო, რომელთა ოფიციალურად შესაძენადაც

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## როგორ იცვამთ?

**ტესტი**



*1. ხშირად თუ გაძლევენ შენიშვნას დაჭმუჭნული ან ჭუჭყიანი ტანსაცმლის შესახებ?*

ა. არასდროს, ბ. იშვიათად, გ. ხდება ხოლმე, დ. ხანდახან.

*2. თუ გაქვთ პრობლემები წვეულებისთვის ტუალეტის შერჩევის დროს?*

ა. არასდროს, ბ. იშვიათად, გ. ხდება ხოლმე, დ. ხანდახან.

*3. თქვენმა ბებიამ, მისი აზრით შესანიშნავი, სინამდვილეში კი მოდიდან დიდი ხნის გამოსული ნივთი გაჩუქათ. თქვენი რეაქცია:*

ა. მადლობას გადაუხდით და აგარაკზე ჩაიცვამთ, ბ. ეტყვით, რომ დროა მოდაში შემოიღონ, გ. მადლობას გადაუხდით, დ. საჩუქრის აღება მოგიწევთ.

*4. თუ ხართ კმაყოფილი თქვენი გარეგნობით?*

ა. დიახ, ბ. საკუთარი თავი მომწონს, გ. ეს საკითხი არ მაღელვებს, დ. არა.

*5. ავანგარდი მოდაში, თქვენი აზრით, არის:*

ა. უსაქმო ადამიანების უაზრო გასართობი, ბ. გაბედული ადამიანების სტილი. გ. ახლის ძიება, დ. ამას მე ვერ ვბედავ.

*6. ვარცხნილობა რადიკალურად შეიცვალეთ რა განწყობილებით მიდიხართ სამსახურში?*

ა. შესანიშნავი, ბ. თავიდან დაბადებულად გრძნობ თავს. გ. კარგი, დ. საშინლად ვღელავ.

*7. ხშიირად თუ გეკითხებიან მეგობრები რჩევას ტანისამოსის შერჩევის დროს?*

ა. მათთვის ექსპერტი ვარ, ბ. ხანდახან, გ. იშვიათად, დ. უფრო მე ვკითხულობ რჩევას.

*8. ახალ ნივთს ყიდულობთ, რა ემოცია გეუფლებათ?*

ა. მიხარია, ბ. საწადელს ვისრულებ, გ. საჭირო ნივთის ხელში ჩაგდებით გამოწვეული სიხარული, გ. ეჭვი — ის თუ ვიყიდე, რაც მჭირდებოდა.

**პასუხები** *პასუხები შეაფასეთ ა — 0, ბ — 1, გ — 2, დ — 3.*

**0-6 ქულა:** — თქვენ ელეგანტურობის ეტალონი ხართ და კოლეგები თქვენს რჩევას ყოველთვის ითვალისწინებენ. არ გიყვართ ტანისამოსით ექსპერიმენტირება.

**7-12 ქულა:** — გიყვართ ადამიანების გაოგნება და მათ გაღიზიანებულ სისინს ყურადღებას არ აქცევთ. ყველა ისურვებდა შეძლებოდათ ისე ჩაცმა, როგორც თქვენ შეგიძლიათ ეს.

**13-18 ქულა:** — უგემოვნო ნამდვილად არ გეთქმით, ერთი არჩეული სტილის ერთგული რჩებით, მაგრამ თქვენს ტანისამოსში განსაკუთრებული არაფერია. იგი მხოლოდ გიხდებათ.

**18-24 ქულა:** თქვენ სტილი უბრალოდ არ გაქვთ, რაც იმის შედეგი არ არის, რომ გარდერობში მცირე ნივთები გაქვთ. უბრალოდ ვერ გაგირკვევიათ თუ რა გინდათ. ერთდროულად გინდათ მოდის ავანგარდშიც იყოთ, მკაცრად ელეგანტურიც, ტანისამოსი ელეგანტურიც იყოს და ყველაც გააოცოთ. შეგიძლიათ ჯინსებზე მაქმანებიანი კოფთა ჩაიცვათ.

გ.თ.